www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 22 სექტემბერი, 2012 წელი. | №3115 (211) | ფასი 50 თეთრი

საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასება და მოლოდინი

თომას მელია

სასჯელაღსრულების სისტემაში მომხდარი ფაქტების შესახებ ვიდეომასალის გავრცელების შემდეგ საერთაშორისო ორგანიზაციების გამოხმაურებები არ წყდება. საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია "ამნესტი ინტერნეშენალი" გლდანის მე-8 საპყრობილეში თანამშრომლების მიერ პატიმართა ცემისა და გაუპატიურების ფაქტით შეშფოთებულია.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

"იუსტიციის სახლი - მერვე საპყრობილის სრული ანტითეზისი"

საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ თბილისში, კორტების მიმდებარე ტერიტორიაზე იუსტიციის ახალი სახლი გახსნა. როგორც მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, ეს შენობა მთავრობასა და ხალხს შორის წარმოშობილი ახალი ურთიერთობის სიმბოლოა.

"მთავრობა არსებობს იმისთვის, რომ მოემსახუროს თავის საზოგადოებას.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

ვიზიტი ციხეში და ახალი მინისტრის დაპირებები

"გარანტიას გაძლევთ, რომ თითს აღარავინ დაგაკარებთ და შეურაცხყოფას აღარავინ მოგაყენებთ. დამშვიდდით, გთხოვთ, ნუ ხმაურობთ, მე ვარ იმის გარანტი, რომ ამ ციხეში ყველგან სრული სიმშვიდეა და ასე იქნება ამიერიდან, ძალიან გთხოვთ, მესმის, რომ რთულია, მაგრამ დამაცადეთ, რომ ყველაფერი დავალაგო. ყველას გნახავთ," *- ასე მიმართა გლდანის ციხეში შესულმა ყოფილმა ომბუდსმენმა და ამჟამად სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ დახმარების საკითხთა მინისტრმა გუშინ პატიმრებს. გიორგი ტუღუშმა, გუშინ, ჟურნალისტებს დაწესებულებაში შესვლისა და პატიმრებთან გასაუბრების საშუალება მისცა.*

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

ოპოზიცია ბაჩო ახალაიას სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას ითხოვს

ნათია მსხილაძე

სასჯელაღსრულების სისტემაში პატიმრების წამების ფაქტების ამსახველი ვიდეომასალის გამოქვეყნების შემდეგ ქუჩაში გამოსული მოქალაქეები შინაგან საქმეთა მინისტრ ბაჩო ახალაიას გადადგომას ითხოვდნენ. მოთხოვნა მიღწეულია. დღეს ქვეყანას ახალი შს მინისტრი ჰყავს - ეკა ზღულაძე.

ქვეყანაში განვითარებული მოვლენების შესახებ განცხადებები გაკეთდა ყველა პოლიტიკურ პარტიაში. პოლიტიკოსები ბაჩო ახალაიას გადადგომას არასაკმარისად მიიჩნევენ და ამბობენ, რომ ახალაიას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრას.

ბიძინა ივანიშვილი, ოპოზიციური კოალიცია "ქართული ოცნების" ლიდერი პრეზიდენტ სააკაშვილს ურჩევს, რაც შეიძლება სწრაფად გადადგეს. **"დღეს მინდა, მას ბოლო რჩევა მივცე, რომ გადადგეს. და თუ რატომ, დავასაბუთებ: მან მოახერხა და დააფუძნა ჩვენს ქვეყანაში სიცრუის მანქანა... მან დააფუძნა ის წამებაც, რაც ჩვენ ვნახეთ ციხეებში. ყველა კარტი გახსნილია; მას თამაში აღარ დარჩა; ყველამ ყველაფერი ვიცით აქაც და ევროპაშიც,"** - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

"ქართული ოცნების" ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი ალასანია შინაგან საქმეთა მინისტრობიდან ბაჩო ახალაიას გადადგომას საკმარისად არ მიიჩნევს და ფიქრობს, რომ მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრას.

"პრეზიდენტი სააკაშვილი ამბობდა, რომ ბაჩო ახალაია არის რეფორმატორი, ყველაზე კარგი და ეფექტური მინისტრი, თუმცა აღმოჩნდა, რომ ბაჩო ახალაია სადისტი და დამნაშავეა. მივიჩნევ, რომ პრეზიდენტიც სადისტი და დამნაშავეა და მანაც უნდა აგოს პასუხი.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6548⇓
1 ევრო	2.1441⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.6799⇓
1 თურქული ლირა	0.9188⇓
100 რუსული რუბლი	5.2407⇓

თბილისი	28°C - 17°C
ქუთაისი	31°C - 17°C
თელავი	29°C - 14°C
ზუგდიდი	29°C - 18°C
ბათუმი	27°C - 17°C

ნავთობი	3.11	+0.02	+0.54%
გაზი	2.81	+0.01	+0.46%
ოქრო	1,774.20	+4.00	+0.23%
ხორბალი	893.00	+13.50	+1.51%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

სიყვარული, პიეტა და სხვები

მომავალ კვირას ეროვნული კინოცენტრი "ოსკარზე" წარსადგენ ფილმს დაასახელებს

ია ვეკუა

სექტემბრის მიწურულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ამერიკის კინოაკადემია რეალურად შეუდგა მომავალი წლის "ოსკარით" დაჯილდოების ცერემონიალისთვის მზადებას - უცხოენოვანი ფილმის ნომინაციისთვის სხვადასხვა ქვეყნის კინოპროდუქციის შეკრება სწორედ ამ დროს ხდება.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

მგლების სეზონი

ზურაბ თალაკვაძე

"მინესოტა ტიმბერვულვზი" შეიცვალა. დასავლეთის კონფერენციაც იცვლება. ლოკაუტი არ იქნება და დიდი ბიჭები ბიცეფსების გახურებას ჩვეულებრივად, სტანდარტულად დაიწყებენ. 82 თამაში დასავლეთში რთულია, უფრო დამღლელია, ვიდრე მეორე, ლებრონის კონფერენციაში. დასავლეთი მაიკლ ჯორდანის დასვენების შემდეგ მოვიდა აზრზე და უფრო ბეტმენია, ვიდრე ერთჯერადი რობინი. აღმოსავლეთში ბევრი რაღაც იცვლება, სექსუალური "მაიამი" სექსუალურად აკეთებს საქმეს და დუაიტ ჰოვარდი კალიფორნიაში წავიდა.

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

მინესოტას ლიდერი კევინ ლავი

"იუსტიციის სახლი - მერვე საპყრობილის სრული ანტითეზისი"

პირველი გვერდიდან

მთავრობა თავისთავად არავითარ განსაკუთრებულ ფასეულობას არ წარმოადგენს. ხალხი არის ყველაფერი. სწორედ ამიტომ, შენობა არის ხალხის სახლი. ეს არის ახალი მთავრობის სიმბოლო და წარსული ინსტიტუტების ანტითეზისი. ეს არის გლდანის მე-8 საპყრობილის - წარსულის სამარცხვინო გადმონაშთის ანტითეზისი, ეს არის კონტრასტი ჩაკეტილობასა და გახსნილობას, ახალ და ძველ სახელმწიფოს, წარსულსა და მომავალს შორის. ვერც ერთი წარსული პორაქტიკა ვერ მოიკიდებს ფეხს ჩვენს ინსტიტუტებში. საქართველო აღარასდროს დაბრუნდება წარსულში. ყველა დაბრკოლების, პროვოკაციის, ჩავარდნის მიუხედავად, დაპირებას ვასრულებთ -- საქართველო აღარასდროს დაბრუნდება წარსულში!" - განაცხადა სააკაშვილმა.

მან გუშინდელ დღეს "ისტორიული" უწოდა და აღნიშნა, რომ ახალი შენობა გათვლილია არა მთავრობის მომსახურებასა და კომფორტზე ან თავის მონონებაზე, არამედ - რიგით მოქალაქეებზე.

პრეზიდენტი იუსტიციის სახლის გახსნაზე სიტყვით გამოსვლისას ბოლო დღეების განმავლობაში სტუდენტების მიერ გამართულ აქციასაც გამოეხმაურა.

"როცა ახალგაზრდა ადამიანი აღშფოთებულია იმით, რაც იხილა, მე ამ ადამიანის ბოლომდე მესმის და კიდევ კარგი, რომ ასეთი ახალგაზრდობა გვყავს, მაგრამ ვინც პატიმრების წამების ამსახველი ვიდეოების გადაღება შეუკვეთა და ვინც ამაზე თვალი დახუჭა, არ შეიძლება, რომ იმან თავისი დივიდენდები დაიწეროს," - განაცხადა სააკაშვილმა.

მანვე განაცხადა, რომ არჩევნებისთვის "მაფია სერიოზულად ემზადებოდა", თუმცა საქართველო "ბნელეთის ძალებზე" აუცილებლად გაიმარჯვებს.

"მინდა, ვკითხო ხალხს: ვის უფრო ენდობით თქვენ, ვინ უკეთესად დაიცავს თქვენს უფლებებს? გიორგი ტუღუშს, ეკა ზღულაძეს და იმ გოგონებსა და ბიჭებს, რომლებიც აქ სხედან, ასევე, იმ ხალხს, რომლებმაც შეცდომა დაუშვეს, მაგრამ გამოსწორებაც ვიცით ამ ყველაფრის, თუ გინდათ, რომ ეს ყველა კრიმინალმა თამაზაშვილმა ჩაანაცვლოს, რომელიც ასევე კავშირში იყო ბევრ დანაშაულთან და იმასთან, რაც ჩვენი დაუდევრობით იყო გამოწვეული?" - განაცხადა სააკაშვილმა.

პრეზიდენტის თქმით, საზოგადოება ამ კითხვებს პასუხს გასცემს და გააკეთებს არჩევანს გამჭვირვალობის, თავისუფლების პირობებში და არა მანიპულაციების, დაშინებისა და სხვადასხვა პროვოკაციების ფონზე.

იუსტიციის ახალი სახლის გახსნას სასჯელაღსრულების, იუსტიციისა და ფინანსთა მინისტრები და შს მინისტრის მოვალეობის შემსრულებელიც ესწრებოდნენ.

ვიზიტი ციხეში და ახალი მინისტრის დაპირებები

პირველი გვერდიდან

საპყრობილის ეზოში შესულ მინისტრს და ჟურნალისტებს პატიმრები საკნების გისოსებზე ბრახუნით შეხვდნენ. გიორგი ტუღუშმა საპატიმროს ეზოში ხმამაღლა მიმართა პატიმრებს და მათ მდგომარეობის გაუმჯობესების პირობა მისცა.

"გაგვათავისუფლეთ მკვლელებისგან, ისინი ისევ აქ რჩებიან. ცემაში გვხდიდნენ სულს. ესენი არიან დაბმული ადამიანების მკვლელები, გვაბამენ და ისე გვცემენ, ესენი არიან ჯალათები, რომლებსაც სისხლი არ აქვთ, გადადით "რეზბალნიცაზე" და ნახეთ, რა დღეშია იქ ნაცემი ხალხი. გაცინებისთვის, სიგარეტის მოწევისთვის ექვს-ექვსი კაცი ცემით გვკლავდა... გვიშველეთ, მოაშორეთ ყველა, ვინც კი აქ მუშაობდა, თორემ აქ მკვლელობები მოხდება, ვეღარ გავუძლებთ და ვეღარ მოვითმენთ," - ყვიროდნენ პატიმრები საკნების გისოსებიდან და საპყრობილის თანამშრომლების იმ სახელებსა და გვარებსაც ასახელებდნენ, ვინც, მათი თქმით, სადისტური ქცევით გამოირჩეოდა.

მამუკა გოგია, ზაზა ძიძიგური, ლევან სულაქველიძე, "მეტადონის ოფიცერი" - ვინმე მამუკა, ოფიცერი გოგა - ეს მერვე საპყრობილის იმ თანამშრომლების მოკლე ჩამონათვალია, რომლებსაც პატიმრები სასტიკ მოპყრობასა და წამებაში სდებენ ბრალს.

გუშინ პატიმრები საკნებიდან ერთდროულად ყვიროდნენ, რომ ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლები მათთან დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში შედიოდნენ საცემად და საწამებლად. თითოეული პატიმარი საკნის გისოსებიდან ცდილობდა, საკუთარი ისტორია მოეყოლა. გიორგი ტუღუში პატიმრებს პირადად ესაუბრებოდა, მათ სიმშვიდის შენარჩუნებას სთხოვდა და პირობას აძლევდა, რომ თითოეულ შემთხვევას გამოიძიებს.

გლდანის საპყრობილეში მყოფების თქმით, ციხეში იმყოფება ერთ-ერთი პატიმარი, რომელსაც ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ ჩვენების მიცემის სურვილი აქვს. პატიმრების განმარტებით, მას ყოფილ მინისტრზე კომპრომატები გააჩნია. მართალია, ამ პატიმრის ვინაობა არ დასახელდა, მისივე უსაფრთხოებიდან გამომდინარე, თუმცა, როგორც გაირკვა, ის ბაჩო ახალაიას ყოფილი თანამშრომელია.

მსჯავრდებულების თქმით, ბოლო სამი დღის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც დაწესებულებაში პატრული შევიდა, მდგომარეობა განიმუხტა და დამამცირებელი და წამების ფაქტები შეწყდა. თუმცა, პატიმრების თქმითვე, როგორც კი პატრული თვალს მიეფარება, დაწესებულების ოფიცრები მსჯავრდებულებს ფანჯრებიდან ემუქრებიან და ეუბნებიან, რომ, როგორც კი არჩევნები ჩაივლის, მათ უმძიმესი დღეები ელოდებათ.

ყოფილი ომბუდსმენი გუშინ საპყრობილესთან მყოფ პატიმრების ოჯახის წევრებსა და ახლობლებსაც გაესაუბრა და მათ სიმშვიდისკენ მოუწოდა. ახალი მინისტრი აცხადებს, რომ სისტემა მთლიანად შეიცვლება, თუმცა, შეიძლება პატარა პრობლემები დარჩეს, რომლის აღმოფხვრასაც დრო დასჭირდება. პატიმართა სისტემური ცემა-წამების თემა კი საბოლოოდ წარსულს ჩაბარდება.

გლდანის საპყრობილეში პატიმრებთან პაემნები კვლავ მიმდინარეობს. როგორც გაირკვა, N8 დაწესებულებაში, სადაც 3500-მდე პატიმარია, 1500-თან უკვე შედგა პაემანი და მსურველები ახლობელ მსჯავრდებულებს დღეს და ხვალაც მოინახულებენ.

ის, რომ ციხეში სიმშვიდეა და მდგომარეობა გაუმჯობესდა, გუშინ საპყრობილიდან გამოსული ადვოკატებიც ადასტურებდნენ.

"ბევრი კანონდამრღვევი თანამდებობიდან უკვე გათავისუფლებულია. პატიმრების უფლების სისტემურ დარღვევას ბოლო მოეღება. პროკურატურას მე პირადად მივაწვდი ინფორმაციას. გავესაუბრები თითოეულ პატიმარს, მოვიძიებ ინფორმაციებს და სამსახურიდან დავითხოვ ყველა რიგით თუ თანამდებობის პირს, ვინც შემჩნეულია პატიმართა წამებაში, კადრების შერჩევა ეტაპობრივად მოხდება, ახალგაზრდები გაივლიან ტრენინგებს და სასჯელაღსრულების სამინისტროში ძველ თანამშრომლებს ჩაანაცვლებენ," - ამბობს ახალი მინისტრი. როგორც მან გლდანის ციხის შემოვლისას განაცხადა, მიმდინარეობს მოკვლევა და პატიმართა ზეწოლაში შემჩნეული ყველა პირის მონაცემები, მათ შორის მათი, ვინც წამების ამსახველ ვიდეო-კადრებში არ ჩანს, პროკურატურას გადაეგზავნება.

მინისტრი პირობას დებს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს ექნებათ მეტი საშუალება, ხშირი კონტაქტი ჰქონდეთ პატიმრებთან და სამინისტროს დაეხმარონ პრობლემების აღმოფხვრაში.

"წლის ბოლოს უნდა დავდოთ კონკრეტული შედეგები. სისტემაში სიკვდილიანობის მაჩვენებლები მინიმუმამდე უნდა შემცირდეს. გარდა ამისა, მოვითხოვ იმ საკანონმდებლო ცვლილებს, რომელსაც სახალხო დამცველი წლების მანძილზე ითხოვდა. მე არ მოვედი იმისთვის, რომ ციხეების ინფრასტრუქტურა გავაუმჯობესო. ძალიან კარგად ვიცნობ ყველა პრობლემას. პირადად ვივლი დაწესებულებებში, არა დერეფნებში, არამედ - საკნებში. ვაპირებ, რამდენიმე ჩემი თანამშრომელიც მივიყვანო სამინისტროში, ვინაიდან, დარმწმუნებული ვარ, რომ ისინი შიდა კონტროლს უზრუნველყოფენ," - აცხადებს ახალი მინისტრი. გიორგი ტუღუშის განმარტებითვე, მისი ყოფილი თანამშრომლები ამჟამადაც ახორციელებენ უწყვეტ მონიტორინგს დაწესებულებებში.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ სასჯელარღულების, პრობვაციისა და იურიდიულ დახმარების საკითხთა მინისტრის მოადგილედ მთავრობის კანცელარიის საგარეო და საზოგადოებრივი ურთიერთობის დეპარტამენტის ყოფილი უფროსი შოთა უტიაშვილი დაინიშნა. უტიაშვილი საქართველოს მთავრობის კანცელარიის საგარეო და საზოგადოებრივი ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელად პრემიერ-მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა დანიშნა. მანამდე კი, ვანო მერაბიშვილის შს მინისტრობისას, უტიაშვილი უწყების ანალიტიკურ დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა.

ოპოზიცია ბაჩო ახალაიას სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას ითხოვს

პირველი გვერდიდან

გადადგომა არაფერს ნიშნავს, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უნდა მისცენ ბაჩო ახალაია, მეგის ქარდავა, ზურაბ ადეიშვილი, რომლის უწყებაც ზედამხედველია იმაზე, თუ როგორ სრულდება კანონი, და პირადად პრეზიდენტი საკაკაშვილი, რადგან მას ეკისრება ყველაფერზე პასუხისმგებლობა. ყველა უნდა წარდგეს მართლმსაჯულების წინაშე," - განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

"ლეიბორისტული პარტია" პასუხისმგებლობას კიდევ ერთხელ აკისრებს მიხეილ სააკაშვილსა და ბიძინა ივანიშვილს. კახა ძაგანიას განცხადებით, ორივე მათგანი საქართველოს უნდა მოშორდეს. **"კაცთმოძულე სისტემის შემქმნელები არიან სააკაშვილი და ფინანსურად - ივანიშვილი, დანარჩენი მათი პროდუქტია. ამიტომ ორივე პერსონა უნდა მოვაცილოთ საქართველოს და ქართველ ხალხს,"** - განაცხადა ძაგანიამ

"ახალ მემარჯვენეებს" კალმახელიძე-ახალაიას გადადგომა მთავარ მიღწევად არ მიაჩნიათ. "მემარჯვენეების" ლიდერ დავით გამყრელიძის განმარტებით, მთავარია, მიღწეული იქნას საერთაშორისო გამოძიების ჩატარება.

"პასუხი უნდა აგოს ყველამ, ვინც ამ დანაშაულში მონაწილეობდა და არა მარტო იმ კადრების გამო, რაც ვნახეთ, არამედ იმ სისასტიკისთვისაც, რაც ხდებოდა მთელი ამ პერიოდის მანძილზე," - აცხადებს დავით გამყრელიძე.

პარტია "ახალი მემარჯვენეები" ხელისუფლებას მიმართავს, რომ ნაკლებად მძიმე და მსუბუქი დანაშაულის პატიმრებისთვის და ასეთივე დანაშაულის გამო წინასწარ პატიმრობაში მყოფი განსასჯელებისთვის ამნისტია გამოცხადდეს. **"აქ არ არის საუბარი იმ პატიმრებზე, რომლებიც მძიმე დანაშაულისთვის იხდიან სასჯელს და საზოგადოებისთვის საშიშროებას წარმოადგენენ. ამნისტია უნდა შეეხოთ მხოლოდ იმ მსჯავრდებულებს, რომლებმაც ჩაიდინეს ნაკლებად მძიმე და მსუბუქი დანაშაული - საგადასახადო გადაცდომა, წვრილმანი ხულიგნობა და სხვა,"** - განაცხადეს "ახლებმა".

"ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა" დარწმუნებულია, რომ ახალი მოწვევის პარლამენტში შეიქმნება საგამოძიებო კომისია, რომელიც ყველა დეტალს, ყველა შემთხვევას გამოიძიებს. **"რა თქმა უნდა, მინისტრების გადაყენება არ იყო საკმარისი. წინ არჩევნებია და ქალბატონი ზღულაძის დანიშვნა თვისობრივად ვერაფერს შეცვლის. დარწმუნებული ვარ, რომ ახალაიას მიმართ არსებული პრეტენზიებისა და ბრალდებების დადასტურებისთვის ახალ პარლამენტში, ახალი პოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით შეიქმნება საგამოძიებო კომისია,"** - აღნიშნა გიორგი თარგამაძემ.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი და "ევროპელი დემოკრატების" ლიდერი პაატა დავითაია აცხადებს, რომ ის სისასტიკე, რომლის მომსწრეც გახდა ქართული საზოგადოება მედიით გავრცელებული კადრების ხილვისას, უკიდურესად შემაშფოთებელი და ამაზრზენია. დავითაია სამ მოთხოვნას აყენებს: **"პირველი - ინაგან საქმეთა მინისტრ ბაჩო ახალაიას თანამდებობიდან გადადგომა საკმარისი არ არის. იქიდან გამომდინარე, რომ ციხეებში პატიმართა წამების საქმეზე ყველაზე მეტი კითხვა სწორედ ახალაიას სახელს უკავშირდება, მის მიმართ დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს გამოძიება; მეორე - უპირობოდ უნდა მოხდეს ყველა იმ პატიმრის საქმის ხელახალი გამოძიება, რომლებზეც არსებობს ინფორმაცია მათი წამებისა და ცემის შესახებ, ვინაიდან ფიზიკური ზეწოლის ფონზე მათ მიერ მიცემული ჩვენებები უკვე სამართლებრივად ბათილია; და მესამე - იმის გამო, რომ ძალოვან სისტემას, მთლიანობაში, საზოგადოების ნდობა აქვს დაკარგული, პატიმრების წამების ფაქტების სპეციალური საგამოძიებო კომისია ახალი პარლამენტის ფარგლებში უნდა შეიქმნას,"** - აღნიშნა დავითაიამ.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი თქმით, ყველა ზომა უნდა იქნეს მიღებული იმისთვის, რომ 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები შედგეს, რათა დემოკრატიული ცვლილებების გზით მოხდეს არსებული ხელისუფლების ჩანაცვლება.

უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის გიგი წერეთელის განცხადებით, შინაგან საქმეთა მინისტრ ბაჩო ახალაიას გადადგომა პოლიტიკური პასუხისმგებლობაა. **"იმ უმძიმესი ფაქტების შესახებ, რომლებიც საპატიმროში ხდებოდა, არაერთი შეფასება გავაკეთე. ეს მოუთმენელია და წარმოუდგენელია, ასეთი რამ ოდესმე კიდევ მოხდეს და ყველაფერი ამისთვის უნდა გაკეთდეს. არსებობს სამართლებრივი პასუხისმგებლობა, რომელიც გამოიხატა დიდი ჯგუფის დაპატიმრებით. არსებობს პოლიტიკური პასუხისმგებლობა, რომელიც გაიზიარეს მინისტრებმა, ვისაც რამე კავშირი ჰქონდა ამ სფეროსთან. დღეს ეს პასუხისმგებლობა რეალიზებულია. მინისტრები გადადგნენ და ეს, ბუნებრივია, პოლიტიკური პასუხისმგებლობაა. რა უნდა იყოს ამის შემდეგ, ეს გამოძიების პროგატივაა, არის მოკლევა, აღძრულია საქმეები. ეს ყველაფერი სწორედ მტკიცებულებებისა და კანონის საფუძველზე უნდა ხდებოდეს. ეს ყველაფერი ჩემთვის ძალიან მძიმეა, ისევე როგორც სხვისთვის და მთავარი, რასაც დღეს ვფიქრობ, არის ის, რომ უნდა შეიცვალოს სისტემა. ყველას უნდა ჰქონდეს განცდა, რომ კანონის ფარგლებში და იმ მტკიცებულებების საფუძველზე, რომლებიც ამა თუ იმ პირის მიმართ იქნება, ფაქტები უკვე ძიების პროცესშია,"** - აცხადებს წერეთელი.

"ნაციონალური მოძრაობის" წევრ გოკა გაბაშვილის განმარტებით, **"ხელისუფლებამ უნდა იმოქმედოს ისე, როგორც მოქმედებს, უნდა დააკავოს ყველა დამნაშავე და წარადგინოს მართლმსაჯულების წინაშე. მინისტრები კი, რომლებიც ამ სისტემასთან შეხებაში იყვნენ, უკვე გადადგნენ თანამდებობებიდან,"** - განაცხადა გაბაშვილმა.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასება და მოლოდინი

პირველი გვერდიდან

"ამნესტი ინტერნეშენალი" გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნავს, რომ ჩანაწერებში ნაჩვენები წამება, შესაძლოა, მიანიშნებდეს უფრო ფართოდ გავრცელებულ პრაქტიკაზე, ვიდრე ხელისუფლება აღიარებს. როგორც "ამნესტი ინტერნეშენალი" მიუთითებს, აღმასრულებელი ხელისუფლება სამოქალაქო ორგანიზაციების, სახალხო დამცველის და ოპოზიციური პარტიების მიერ წარდგენილ საქმეებს არ იძიებდა. ორგანიზაცია ამომწურავი და მიუკერძოებელი გამოძიების ჩატარებას მიიჩნევს საჭიროდ. როგორც "ამნესტი ინტერნეშენალი" აცხადებს, უნდა გამოიძიონ, რატომ ვერ ახერხებდა პროკურატურა, აღმოეჩინა და დაესაჯა ის პასუხისმგებელი პირები, რომელთაც ბოლო წლებში ადამიანის უფლებების დარღვევებში ადანაშაულებენ.

ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი რიკარდო მილიორი კი იმედოვნებს, რომ ამ ქმედების ჩამდენ პირებთან ერთად ის მაღალი რანგის პასუხისმგებელი პირები გასამართლდებიან, ვინც ეს ფაქტები დაუშვა. მას მიაჩნია, რომ

ამ ნაბიჯით უზრუნველყოფილ იქნება სამართალი მსხვერპლთათვის და თვალნათელი გახდება, რომ საქართველოში დაუსჯელობის კულტურა არ არსებობს. რიკარდო მილიორი დასძენს: **"შემაძრწუნებელია იმის ნახვა, რომ მსოფლიოში არსებობს ადგილი, სადაც ასე არაჰუმანურად იქცევიან. თუმცა, განსაკუთრებით შემაშფოთებლად მიმაჩნია, რომ ადამიანებს ასე სასტიკად ეუთო-ს წევრ სახელმწიფოში ეპყრობიან. საქართველოს უნდა ახსოვდეს თავისი ვალდებულებები - დაიცვას ადამიანის უფლებები, როგორც ეუთო-ს ოჯახის წევრმა. მივესალმები ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ციხის რამდენიმე თანამშრომელი დაიჭირეს წამების გამო, ასევე პრეზიდენტ სააკაშვილის პირობას, რომ პასუხისმგებელი პირები უსასტიკესად დაისჯებიან."**

განცხადება, ასევე გამოაქვეყნა ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენლის კეტრინ ეშტონის პრესსპიკერმა. **"უმაღლესი წარმომადგენელი აღშფოთებულია გლდანის ციხეში პატიმართა ცუდი მოპყრობის ამსახველი შემზარავი კადრებით. იგი კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ ყველა ქვეყანამ უპირობოდ უნდა აკრძალოს წამების და ცუდი მოპყრობის ნებისმიერი ფორმა,"** - ნათქვამია განცხადებაში. კეტრინ ეშტონი ასევე აღნიშნავს, რომ მთავრობამ ამ საკითხის მოსაგვარებლად პირველი ნაბიჯები გადადგა. ეშტონის განცხადებით, ამ და სხვა ინციდენტების ზედმიწევნით და გამჭირვალედ გამოძიება და პასუხისმგებელი პირების მართლმსაჯულების წინაშე წარდგენა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

ხელისუფლების რეაქციას ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თანამომხსენებლები მიესალმებიან. ისინი იმედოვნებენ, რომ ხელისუფლება ზედმიწევნით და გამჭვირვალედ გამოიძიებს ამ ძალადობას. **"ყველა დამნაშავე, მათ შორის ისინი, ვინც ამ დანაშაულებს მხარს უჭერდა, კანონის სრული სიმკაცრით უნდა დაისაჯონ,"** - აღნიშნავენ თანამომხსენებლები.

საქართველოში შექმნილი ვითარება აშშ-ს კონგრესში, ჰელსინკის კომისიის სხდომაზე განიხილეს. ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა სფეროში თომას მელიამ სასჯელაღსრულების მინისტრის პოსტზე გიორგი ტუღუშის დანიშვნა დადებითად შეაფასა. მისი თქმით, ახალ მინისტრს სასჯელაღსრულების სისტემაში ცვლილებების შეტანა ნამდვილად შეუძლია. ამერიკელი კონგრესმენი კრის სმიტი ამბობს, რომ აღნიშნული ფაქტების გამოვლენის შემდეგ განხორციელებული საკადრო ცვლილებები მისასალმებელია. კონგრესმენი დასძენს, რომ მთავრობას სათანადოდ უნდა შეეფასებინა სისტემაში არსებული ვითარება და ომბუდსმენის შეფასებები გაეთვალისწინებინა.

ჰერიჯითის ფონდის ანალიტიკოსმა არიელ კოენმა სხდომაზე აღნიშნა, რომ მსგავსი ძალადობრივი ფაქტები დაუსჯელი არ უნდა დარჩეს, მით უმეტეს ისეთ ქვეყანაში, რომელიც ევროსტრუქტურებში ინტეგრაციას ცდილობს.

საკუთარი ინფორმაცია

აქციების ნაწილი შეწყდა, ნაწილი - ორშაბათს განახლდება

მარი ახსიაშვილი

პატიმრების წამების ამსახველი ვიდეომასალის გამო დაწყებული და სამი დღის მანძილზე მიმდინარე საპროტესტო გამოსვლების მონაწილეთა ერთი ჯგუფი მიტინგებს წყვეტს, რადგან მიაჩნიათ, რომ მათი მოთხოვნები შესრულდა და ბაჩო ახალაია გადადგა, ხოლო მეორე ნაწილი გამოსვლებს ორშაბათიდან განაახლებს.

აქციების შეწყვეტის და დროებით შეწყვეტის ერთ-ერთი მიზეზი საქართველოს პატრიარქ ილია მეორეს ქადაგება იყო. მან ღვთისმშობლობის დღესასწაულზე ჩატარებული წირვის შემდეგ მრევლს სიმშვიდისკენ მოუწოდა და უთხრა, რომ არჩევნები მშვიდ გარემოში უნდა ჩატარდეს.

"ყველაზე მნიშვნელოვანია, 1 ოქტომბრამდე სიმშვიდე შევინარჩუნოთ. მსგავსი რამ სხვა ქვეყნებშიც ხდება, მაგრამ არ გამოდის სააშკარაოზე და ამ მოვლენებს ბოროტად ნუ გამოვიყენებთ," - განაცხადა პატრიარქმა. მან სტუდენტებთან შეხვედრაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ზოგიერთ სტუდენტს სურს, არეულობის ესტაფეტიზაცია მოხდეს.

"თავი უნდა შევიკავოთ ამისგან. ისედაც არ გვაკლდა არეულობა. იმედი მაქვს, მამაშვილური სიყვარულით ნათქვამ რჩევას ყველა გაითვალისწინებს," - აღნიშნა ილია მეორემ, რომლის ქადაგებას ერთიანი სტუდენტური გაერთიანების და თვითმმართველობის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. ერთიანი სტუდენტური გაერთიანების წარმომადგენელ მარიამ ქობულიას განცხადებით, ისინი წყვეტენ აქციებს, რადგან მოთხოვნები შესრულდა.

"გუშინ პატრიარქთან შეხვედრისას გავიგეთ ბაჩო ახალაიას შესახებ. პატრიარქმა დაგვლოცა და სიმშვიდისაკენ მოგვიწოდა," - აღნიშნა ქობულიამ და დასძინა, რომ სტუდენტები ემიჯნებიან ნებისმიერი სხვა პირის მიერ ორგანიზებულ აქციას, დღეიდან მათი მიზანი კი საარჩევნო პროცესზე დაკვირვება და ამომრჩევლების ხმების დაცვა იქნება.

გუშინ დაგეგმილი აქცია ჩაშალა თსუ-ს სტუდენტურმა თვითმმართველობამაც. თვითმმართველობის პრეზიდენტ დაჩი გუბაძის განცხადებით, სტუდენტები პატრიარქს დაემორჩილნენ.

"ჩვენთვის პატრიარქის აზრი უმნიშვნელოვანესი იყო. უწმინდესმა არჩევნებამდე საპროტესტო აქციებისგან თავის შეკავებისკენ მოგვიწოდა, რადგან, მისი თქმით, კონფლიქტური სიტუაციების წარმოქმნის საშიშროება არსებობს. შესაძლოა, ზოგიერთმა ანგაჟირებულმა ჯგუფმა პროვოკაციები მოაწყოს, უნივერსიტეტში შეიჭრას და უმართავი პროცესები განვითარდეს. პატრიარქმა სტუდენტებს ასეთ რადიკალურ ჯგუფებთან ურთიერთობისგან თავის შეკავება გვირჩია. პატივს ვცემთ უწმინდესის რჩევას, რადგან ჩვენთვის ძალადობის ძალადობით გაპროტესტება მიუღებელია," - განაცხადა დაჩი გუბაძემ და აღნიშნა, რომ გასულ დღეებში სტუდენტური თვითმმართველობა სხვა სტუდენტებთან ერთად აპროტესტებდა პატიმრების წამებას, ხოლო მათ მოთხოვნებში შედიოდა პასუხისმგებელი პირების თანამდებობიდან მოხსნა და ყველა დამნაშავის დასჯა.

რაც შეეხება სტუდენტურ გაერთიანებას - "ლაბორატორია 1918", მათ თსუ-ს პირველი კორპუსის წინ საინფორმაციო აქცია გამართეს. როგორც სტუდენტებმა განაცხადეს, შეიქმნება სტუდენტთა საბჭო, რომელიც აქციებს გაუწევს ორგანიზებას, გამოსვლები კი ორშაბათს, 15:00 საათზე განახლდება. აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორის განცხადებით, თვითმმართველობის მხრიდან პროვოკაციაა მოსალოდნელი, რაც მათ არ სურთ. "ლაბორატორია 1918"-ის წევრები ამბობენ, რომ მათი გადაწყვეტილება დაემთხვა პატრიარქის მოწოდებას, რომელმაც სტუდენტებს აქციის შეჩერებისკენ მოუწოდა.

"ჩვენმა ბრძოლამ გამოიღო უკვე ერთი დიდი შედეგი - თანამდებობიდან გადადგა ბაჩო ახალაია. ჩვენ ვაგრძელებთ საპროტესტო აქციებს, მაგრამ ვაგრძელებთ ორშაბათიდან. ჩვენ დავინახეთ, რომ შეგვიძლია, დაახლოებით, 30 000 ადამიანის გამოყვანა და ამას სჭირდება უფრო მეტი ორგანიზება, უფრო მეტად ჩამოყალიბება, რათა გამორიცხული იყოს ყველანაირი პროვოკაცია და ის, რომ რომელიმე სტუდენტს რამე არ დაუშავდეს. რა თქმა უნდა, ყველა სტუდენტის თავისუფალი ნებაა, გამოხატოს პროტესტი. ვისაც სურვილი აქვს, მივიდეს ფილარმონიასთან ან გლდანის ციხესთან, მაგრამ ჩვენ აქციას გავაგრძელებთ ორშაბათს, 15:00 საათიდან," - განაცხადა "ლაბორატორია 1918"-ის წარმომადგენელმა სანდრო ცაგარელმა.

გამომსვლელებს შორის იყო ერთი სტუდენტი, რომელმაც პროტესტის დროები შეწყვეტის გადაწყვეტილება პატრიარქის სიტყვებს დაუკავშირა, ხმის გამაძლიერებელში მოულოდნელად დაიძახა - "ძირს პატრიარქი", რასაც გარშემომყოფების მხრიდან აგრესია მოჰყვა. მას შემდეგ, რაც გოგონას ხმის გამაძლიერებელი გამოართვეს, აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ მას ხელი ჰკრა. გოგონა დაეცა, წამოდგომის შემდეგ კი უნივერსიტეტის ტერიტორია სირბილით დატოვა. "ლაბორატორია 1918"-ის წევრები აცხადებენ, რომ არც ეს გამომსვლელი და არც მასზე მოძალადე მათი წევრი არ იყო.

გუშინვე სტუდენტთა ნაწილი მეტროსადგურ ახმეტელის შეიკრიბა და ბაჩო ახალაიას გასამართლება, ასევე ნაწამები პატიმრებისთვის მკურნალობის ჩატარება მოითხოვა. აქციის მონაწილეებმა ცოტა ხანში გლდანის ლომისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში გადაინაცვლეს და სანთლები დაანთეს. ამის შემდეგ, ისინი გლდანის #8 საპყრობილესკენ გაემართნენ სტვენით და ტრანსფარანტებით - "SOS - სიცოცხლე საფრთხეშია!". სტუდენტები პატიმრებს ამხნევებდნენ შეძახილებით "მოვედით", "თქვენ გვერდით ვართ". პატიმრები გისოსებზე აბრახუნებდნენ, ერთ-ერთმა კი თავისი ფანჯრიდან გისოსზე თეთრი ცხვირსახოცი დაკიდა. სტუდენტები გლდანის ციხესთან აცხადებდნენ, რომ ბაჩო ახალაიას დასასჯელად ხელისუფლებას 24-საათიანი ვადა მისცეს და თუ ეს მოთხოვნა არ შესრულდება, პრეზიდენტის რეზიდენციასთან უფრო ფართომასშტაბიანი და ქმედითი აქცია გაიმართება. გლდანის ციხესთანვე პატიმრების მშობლები ამჯერად იმ პირთა ამნისტიას ითხოვდნენ, რომლებიც შეყვანილნი არიან საპატრიარქოს მიერ 28 აგვისტოს მომზადებულ შესაწყალებელ პატიმართა ნუსხაში.

გლდანის ციხესთან გუშინ მიმდინარე საპროტესტო აქციაზე ინციდენტიც მოხდა. ორმა ადამიანმა საპყრობილის ადმინისტრაციული შენობის ეზოში მყოფ სამხედრო ფორმაში ჩაცმულ პირებს ცეცხლმოკიდებული ცოცხები ესროლა. ეს აქციის მონაწილეებმა გააპროტესტეს, მათ აღნიშნულ პირებს პროვოკატორები უწოდეს და აქცია დაატოვებინეს. ორგანიზატორებმა მომიტინგეებს მოუწოდეს, პროვოკაციებს არ აყვნენ.

საბოლოოდ, გლდანის ციხესთან შეკრებილმა სტუდენტებმა განაცხადეს, რომ პატრიარქის სიტყვას წინ ვერ აღუდგებიან და დაშლა გადაწყვიტეს. ახალგაზრდების უმეტესობამ გლდანის ციხის მიმდებარე ტერიტორია დატოვა, ადგილზე მხოლოდ რამდენიმე მათგანი დარჩა.

გუშინ აქცია გაიმართა ტექნიკურ უნივერსიტეტთანაც. მონაწილეების თქმით, ეს არის აპოლიტიკური და მხოლოდ სოლიდარობის აქცია. მათ ცოცხებით და გამოსვლებით - "ძირს ახალაია" და "ძირს ხელისუფლების რეჟიმი" - "საზოგადოებრივ მაუწყებელთან" გადაინაცვლეს. აქციის მონაწილეებმა "საზოგადოებრივ მაუწყებელს" მოუწოდეს, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები ობიექტურად გაშუქდეს. სტუდენტების განცხადებით, "საზოგადოებრივი მაუწყებელი" საქართველოს მოქალაქეების ფულით ფინანსდება და ვალდებულია საზოგადოების ინტერესებს ემსახუროს და არა - ხელისუფლების. აქციის მონაწილეები სკანდირებდნენ - "თავისუფლება მედიას". მოგვიანებით სტუდენტები ფილარმონიასთან მიმდინარე აქციას შეუერთდნენ, სადაც პროტესტს კვლავ უფლებადამცველები და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები გამოთქვამდნენ. უფლებადამცველ ლევან ჩიტაძის განცხადებით, თსუ-ს სტუდენტურმა თვითმმართველობამ პატრიარქთან შეხვედრის შემდეგ არასწორი ინფორმაცია გაავრცელა.

"პატრიარქს სტუდენტებისთვის დაშლისკენ არ მოუწოდებია. პატრიარქმა ახალგაზრდებს სიმშვიდისკენ მოუწოდა და უთხრა, რომ თუ მათი მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, მაშინ საპროტესტო აქციების გაგრძელება აღარ არის საჭირო. სტუდენტების მოთხოვნა კი მარტო ბაჩო ახალაიას გადადგომა არ იყო. ისინი მის დასჯას მოითხოვდნენ. სამწუხაროდ, სტუდენტებმა შეწყვიტეს აქცია, მაგრამ კარგი გადაწყვეტილება მიიღეს, რომ შეიკრიბება საკოორდინაციო საბჭო," - განაცხადა ლევან ჩიტაძემ.

უფლებადამცველთა აქციის კიდევ ერთი ორგანიზატორის დაჩი ცაგურიას თქმით კი, სასჯელაღსრულების ახალ მინისტრ გიორგი ტუღუშს სთხოვენ, ადვოკატები საპატიმროებში შაბათ-კვირასაც დაუშვან. მისივე თქმით, სანამ ახალაია არ დაისჯება, პერმანენტული აქციები არ შეწყდება. გუშინდელ აქციას ანსამბლი "რუსთავიც" შეუერთდა. მისი წარმომადგენლის განცხადებით, კონცერტები გადადეს და პატიმრებს სოლიდარობას უცხადებენ.

მოგვიანებით, აქციის ძირითადი ნაწილი ორშაბათამდე დაიშალა, დარჩენილებმა კი მანიფესტაცია განაგრძეს იუსტიციის სახლისკენ, რომელსაც იმ წუთებში საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ხსნიდა. საპროტესტო მსვლელობას პარტია "თავისუფალი საქართველოს" მაჟორიტარობის კანდიდატი ჯაბა ჯიშკარიანი გაუძღვა. აქციის მონაწილეებმა საავტომობილო გზის ერთი ნაწილი გადაკეტეს და იუსტიციის სახლისკენ კოლონებად გაემართნენ. მათ მშრალ ხიდთან საპატრულო პოლიციის კორდონი გაარღვიეს. ათონელის ქუჩაზე კი პოლიციასა და მანისფესტანტებს შორის შეხლა-შემოხლა მოხდა. საპატრულო პოლიციის რამდენიმე ეკიპაჟმა აქცია დაშალა. მომიტინგეებმა კვლავ ფილარმონიასთან გადაინაცვლეს და მელიქიშვილის გამზირი გადაკეტეს. დაჩი ცაგურიას თქმით, ჯერ არ იციან, როდემდე გაგრძელდება ეს აქცია. "ამას საორგანიზაცო კომიტეტი გადაწყვეტს," - აღნიშნა ცაგურიამ.

ასადი: "არაბულმა გაზაფხულმა" ქაოსი გამოიწვია

სირიის ოპოზიციური ჯგუფების განცხადებით, რეჟიმის მიმართ ლოიალური არმიის სამხედრო თვითმფრინავებმა ქვეყნის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქი დაბომბეს, რასაც, სულ მცირე, 55 ადამიანი ემსხვერპლა. უფრო ზუსტად, დაბომბეს ბენზინგასამართი სადგური, რომელთანაც მანქანების რიგი იდგა. იქვე დაიჭრა დაახლოებით 60 ადამიანი (ამის შესახებ გუშინ უკვე წერდა "24 საათი"). ოპოზიციის ინფორმაციით, მთლიანად ხუთშაბათს ქვეყანაში 250 ადამიანი მოკლეს.

ეგვიპტური ჟურნალ "ალ-აჰრამისთვის" მიცემულ ინტერვიუში ქვეყნის პრეზიდენტმა ბაშარ ალ-ასადმა განცხადა, რომ ქვეყანამ აუცილებლად უნდა აიცილოს თავიდან "ლიბიის სცენარი, რომელმაც ქვეყანაში დიდი ქაოსი გამოიწვია." მისი სიტყვებით, "არაბულმა გაზაფხულმა" მხოლოდ ქაოსი გამოიწვია და არა - დემოკრატია, თავისუფლება და სოციალური სამართლიანობა. მანვე დასძინა, რომ მზად არის პოლიტიკური დიალოგისთვის, ოღონდ არა - კომპრომისისთვის. მან ყველაფერი ისევ შეიარაღებულ ტერორისტულ ჯგუფებს გადააბრალა. ასადის სიტყვებით, ტერორისტები ვერ გაიმარჯვებენ, რადგან მოსახლეობის მხარდაჭერა არ აქვთ.

სირიული საინფორმაციო სააგენტო "სანას" ინფორმაციით, რუსეთის თვითმფრინავებმა 20 სექტემბერს ქვეყანა 38 ტონა საკვებით მოამარაგეს.

ამერიკა ავღანეთიდან 33 ათას ჯარისკაცს აბრუნებს

შეერთებულ შტატებში ბრუნდება ის 33 ათასი სამხედრო მოსამსახურე, რომელიც იქ კოალიციის ძალების გაძლიერებლად 2009 წელს გაიგზავნა. არჩევნების წინ პრეზიდენტი ობამა იმ ჯარისკაცებს აბრუნებს, რომლებიც იქ ერაყის კომპანიის დამთავრების შემდეგ მისი გადაწყვეტილებით გაიგზავნენ. თავიდანვე იგულისხმებოდა, რომ ეს დამატებითი კონტიგენტი დროებით იგზავნებოდა. მათ უნდა შეექმნათ პირობები ადგილობრივი ავღანური არმიის შექმნისა და მომავალში მათთვის პასუხისმგებლობის გადაბარებისთვის. მთლიანად სამხედრო ოპერაციების შეწყვეტა და ნატო-ს ჯარების ავღანეთიდან გაყვანა 2014 წლისთვის იგეგმება.

სომალიში ტერაქტს 14 ადამიანი ემსხვერპლა

სომალის დედაქალაქ მოგადიშოში პრეზიდენტის სასახლესთან ახლოს ორმა თვითმკვლელმა ტერორისტმა თავი აიფეთქა. ხელისუფლების განცხადებით, დაღუპულია, სულ მცირე, 14 ადამიანი. "ბი-ბი-სის" ცნობით, აფეთქებაზე პასუხისმგებლობა ამ დროისათვის არც ერთ დაჯგუფებას არ აუღია. როგორც აცხადებენ, დაღუპულებს შორის არის სომალის ეროვნული ტელევიზიის ყოფილი რედაქტორი ლიბან ალი ნური.

ნულანდი: USAID-ის პროექტებში "ედინაია როსია" მონაწილეობდა

რუსეთის მმართველი პარტია "ედინაია როსია" ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაციების პროგრამებში მონაწილეობდა, რომელსაც USAID აფინანსებდა. აღნიშნულის შესახებ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ნარმომადგენელმა ვიქტორია ნულანდმა განაცხადა. ორი დღის წინ რუსეთმა USAID-ს ქვეყნის ტერიტორიაზე საქმიანობა აუკრძალა. კრემლმა კი გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ USAID-ი ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებში გეგმავდა ჩარევას. უფლებადამცველების აზრით, აღნიშნული ცუდ პრეცედენტს შექმნის. ზოგიერთი შიშობს, რომ USAID-ის შემდეგ ქვეყნიდან სხვა უცხოური არაკომერციული ორგანიზაციებიც გავლენ (ან მათ დაითხოვენ).

ვიქტორია ნულანდის განცხადება პუტინის პარტიამ "შეურაცხყოფად მიიღო". "ედინაია როსიას" წარმომადგენელმა ანდრეი კლიმოვმა განაცხადა, რომ მისი პარტია არასდროს არ მონაწილეობდა USAID-ის პროგრამებში. "სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი საკუთარ ოფიციალურ კომენტარებში გადაუმოწმებელ ინფორმაციას იყენებს," - განაცხადა კლიმოვმა.

სამხრეთ კორეამ ჩრდილოელების მეთევზეებს უკან დაახევინა

სამხრეთ კორეის სამხედრო საზღვაო ფლოტის ხომალდებმა პარასკევს გამაფრთხილებელი სროლა განახორციელეს ჩრდილოეთ კორეელი მეთევზეების გემების მიმართულებით, რომლებმაც სადავო საზღვაო საზღვარი გადალახეს. ამის შემდეგ მეთევზეთა გემებმა უკან, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაიხიეს. ჩრდილოკორეელები ხშირად შედიან ამ ზონაში კიბორჩხალების დასაჭერად, თუმცა ამ ბოლო კვირებში მათმა რიცხვმა მოიმატა. სამხრეთ კორეა იმუქრება, რომ, თუ მეთევზეების უკანონო "შეჭრა" გაგრძელდება, სამხედროების პასუხი "ელვისებური და მკაცრი" იქნება. ჩრდილოეთ კორეა არ ცნობს იმ საზღვაო საზღვარს, რომელიც გავლებულ იქნა კორეის ომის დამთავრების შემდეგ, დაახლოებით 60 წლის წინ.

ტაილანდში ბომბის აფეთქებას 5 ადამიანი ემსხვერპლა

ტაილანდის სამხრეთში მანქანის აფეთქებას, სულ მცირე, ხუთი ადამიანი ემსხვერპლა; დაშავდა რამდენიმე კაცი. პოლიციის განცხადებით, აფეთქება ქალაქ საი ბურში მას შემდეგ მოხდა, რაც შეიარაღებულმა მებრძოლებმა საიუველირო მაღაზიაზე განახორციელეს თავდასხმა. ტაილანდის სამხრეთ რაიონებში არსებულ ძალადობას 2004 წლიდან 5000 ადამიანი ემსხვერპლა.

არეულობა პაკისტანში

ხათუნა გაბიევი

ისლამურ სამყაროში ანტიდასავლური პროტესტის კიდევ უფრო გამწვავებას პარასკევის ლოცვის შემდეგ ელოდნენ, განსაკუთრებით ეს პაკისტანს ეხებოდა. ანტიისლამური ფილმით გამოწვეულ პროტესტს ფრანგული ჟურნალის მიერ წინასწარმეტყველ მუჰამედის კარიკატურების დაბეჭდვაც დაემატა. ცნობილი გახდა ისიც, რომ, "Charlie Hebdo"-ს მსგავსად, კარიკატურების გამოქვეყნება გერმანულმა ჟურნალმაც გადაწყვიტა. სატირიკული გამოცემა "ტიტანიკის" რედაქციის მიერ გავრცელებული ცნობებით, ოქტომბრის ნომერში წინასწარმეტყველი მუჰამედისა და გერმანიის ყოფილი პრეზიდენტის კრისტიან ვულფის მეუღლის ფოტოების კოლაჟი გამოქვეყნდება. ჟურნალის რედაქცია წინასწარვე აცხადებს, რომ ამ პუბლიკაციით ისინი მსოფლიოს გაფრთხილებას ცდილობენ იმის თაობაზე, რომ "მუსლიმთა უმანკოების" ანალოგი ნამუშევრები დანაშაულია. თუმცა ჯერჯერობით ფაქტია, რომ სატირიკოსების მცდელობა სკანდალური ფილმით გამოწვეული აღგზნების დასაშოშმინებლად ჯერჯერობით უშედეგოა.

პაკისტანში ვითარების შედარებით რეგულირების მიზნით, რამდენიმე ტელევიზიის ეთერში სარეკლამო რგოლიც ტრიალებს, რომელშიც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი და სახელმწიფო მდივანი ბოდიშს იხდიან. მედიის წარმომადგენლებმა სარეკლამო რგოლისთვის ბარაკ ობამასა და ჰილარი კლინტონის განცხადებების ის ნაწილი გამოიყენეს, სადაც ამერიკის შეერთებული შტატების პირველი პირები ანტიმუსლიმურ ფილმს გმობენ და მას ამაზრზენს უწოდებენ. საინფორმაციო სააგენტო "ასოშიეიტედ პრესის" თანახმად, პაკისტანის ტელევიზიით გავრცელებულ ვიდეორგოლს თან ახლავს წარწერა "სარეკლამო უფლებებზე დაყრდნობით" და მთავრდება ისლამაბადში შეერთებული შტატების ოფიციალური ბეჭდით. ვიქტორია ნულანდის განცხადებით, ოფიციალურმა ვაშინგტონმა 30-წამიანი სარეკლამო რგოლის ტრანსლაციაზე შვიდ პაკისტანურ ტელევიზიაში 70 ათასი დოლარი დახარჯა. ხალხის აღშფოთების გასანეიტრალებლად პაკისტანის ხელისუფლებამ პარასკევი - 21 სექტემბერი "წინასწარმეტყველის სიყვარულის" საზეიმო დღედაც გამოაცხადა, რათა მოქალაქეებს საშუალება ჰქონოდათ, მშვიდობიანი დემონსტრაცია გაემართათ. თუმცა, ამის მიუხედავად, პარასკევს ისლამაბადში ბრბომ დიპლომატიური ქალაქის ტერიტორიაზე შეჭრა სცადა, ფეშავარში კი საპროტესტო აქციის მონაწილეების აქტივობას პოლიციასთან შეტაკებებიც მოჰყვა. ფეშავარის ტელევიზიის წარმომადგენელთა განცხადებით, არეულობისას მათი ერთი თანამშრომელიც დაიღუპა. დემონსტრანტებს ცეცხლი პოლიციამ მას შემდეგ გაუხსნა, რაც აქციის მონაწილეებმა, ავტომობილებისა და გარშემო მდებარე შენობების დაზიანების შემდეგ, კინოთეატრის გადაწვა სცადეს. საპროტესტო აქციას პოლიციასთან შეტაკებები ისლამაბადშიც მოჰყვა.

პაკისტანში აქციაზე არეულობები ხუთშაბათსაც მოხდა. სამართალდამცველები იძულებული გახდნენ, დემონსტრანტები ცრემლსადენი გაზითა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებითაც კი დაეშალათ.

პაკისტანში განსაკუთრებით გამწვავებული ანტიამერიკული განწყობის გამო, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა უკვე ურჩია თანამოქალაქეებს, განსაკუთრებული საჭიროების გარდა, პაკისტანში გამგზავრებისგან თავი შეიკავონ.

პუტინმა ყირგიზეთი "შემოიმტკიცა"

ივა შილაკაძე

რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის ოფიციალური ვიზიტისას ყირგიზეთში ხელი მოეწერა რამდენიმე მნიშვნელოვან ხელშეკრულებას, რომელიც ისედაც "პრორუსულ" ყირგიზეთს კიდევ დიდხანს დატოვებს რუსეთის გავლენის სფეროში. რუსეთმა, სულ ცოტა, 20 წლით, 2032 წლამდე დაიკანონა თავისი სამხედრო ბაზები ყირგიზეთში, სანაცვლოდ, ფაქტობრივად, ჩამოაწერა თითქმის ნახევარ მილიარდამდე ვალი. ამას გარდა, მიღწეულია შეთანხმება ჰესების ერთობლივი მშენებლობის თაობაზე, ოღონდ ჯერ სიტყვიერ დონეზე, რაც მთელ რეგიონში გეოპოლიტიკური გავლენის სერიოზული ბერკეტის როლს შეასრულებს.

რუსეთს ყირგიზეთში რამდენიმე სამხედრო ობიექტი აქვს. ისინი ამიერიდან ფორმალურად ერთ ბაზად გაერთიანდებიან. ყველაზე მსხვილია ავიაბაზა კანტის აეროდრომზე, რომელიც, პარალელურად, კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის სამხედრო ობიექტების ნუსხაში შედის. ამას გარდა, არის ხომალდსაწინააღმდეგო ტორპედოების გამოსაცდელი ბაზა ტბა ისიკ-ყულზე, სამხედრო საზღვაო ფლოტის შორეული კავშირის კვანძი ყარა-ბალტაში და თავდაცვის სამინისტროს სეისმური კონტროლის ორი სადგური ისიკ-ყულისა და ჯალალაბადის ოლქებში. ხელშეკრულება გაფორმდა 15 წლის ვადით, მისი პერმანენტული ხუთწლიანი გაგრძელების პერსპექტივით (თუ, ცხადია, ამ ვადაში რომელიმე მხარე მის შეწყეტას არ მოისურვებს). ხელშეკრულება ძალაში შედის 1017 წლიდან, მანამდე ძველი ხელშეკრულება იმოქმედებს. თუმცა ახალი დოკუმენტის ზოგი პუნქტი დაუყოვნებლივ შევა ძალაში. სხვადასხვა ობიექტზე იჯარის გადახდის სხვადასხვა ფორმა მოქმედებს, ზოგ ობიექტს და მის გარშემო მიწას ყირგიზეთი რუსეთს უსასყიდლოდ უთმობს. მთლიანობაში, იჯარის სახით ყირგიზეთი რუსეთისგან წელიწადში 4,5 მილიონ დოლარს მიიღებს, რაც, ცხადია, თითქმის სიმბოლური ფასია.

რუსეთმა ყირგიზეთს თითქმის ჩამოაწერა ვალი 490 მილიონი დოლარის ოდენობით. ის შედგება სხვადასხვა დროს გაცემული თანხებისგან. პირველი - 190 მილიონი დოლარის ოდენობით, არის ტექნიკური კრედიტების ნაკრები, რომელიც რუსეთმა ყირგიზეთს 90-იან წლებში მისცა. ეს ვალი მთლიანად ჩამოიწერება. მეორე - 300 მილიონი - რუსეთმა ყირგიზეთს გამოუყო 2009 წელს პრეზიდენტ ბაკიევის მმართველობის პერიოდში. 2016 წლამდე, სანამ შეღავათიანი პერიოდი ამოიწურება, ყირგიზეთი ამ ვალის მომსახურებას გააგრძელებს. ამ წლებში მას უმნიშვნელო პროცენტების გადახდა უწევს. 2016 წელს კი შეიცვლება ვალის დაფარვის გრაფიკი. 10 წლის განმავლობაში ყოველწლიურად შემცირდება ყირგიზეთის ვალდებულებები.

ვიზიტით კმაყოფილი ჩანდა პრეზიდენტი პუტინი, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი თავდაპირველად ითხოვდა ბაზების დაკანონებას 49 წლით და ყირგიზეთი ძლივს დაითანხმეს 20 წელიწადზე. თავიდან ოფიციალური ბიშკეკი რუსეთს 5-წლიან ხელშეკრულებას სთავაზობდა. პუტინმა აღნიშნა, რომ ყირგიზეთთან ურთიერთობები თანმიმდევრულად ვითარდება, მიუხედავად პოლიტიკური სირთულეებისა ამ ქვეყანაში. რუსეთი ყირგიზეთის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია და მისი წილი ამ აღმოსავლური ქვეყნის საგარეო ბრუნვაში 22 პროცენტს შეადგენს. ტვირთბრუნვა წელს 45 პროცენტით გაიზარდა.

ყირგიზეთის პრეზიდენტი ალმაზბეკ ატამბაევი უფრო ენაწყლიანი იყო პრესკონფერენციაზე და მან არ დაიშურა აღმოსავლელებისთვის ჩვეული დითირამბები საპატიო სტუმრის მიმართ. "რუსეთი ჩვენი მთავარი სტრატეგიული პარტნიორია, ჩვენ გვაქვს საერთო ისტორია და ბედი. რუსეთის გარეშე ჩვენ არ გაქვს მომავალი და ჩვენი მომავალი დიდ რუსეთთან პარტნიორობაშია". მან აღნიშნა პირადად პუტინის როლი და კეთილი ნებაც ხელმოწერილი სამთავრობათაშორისო ხელშეკრულებების მომზადებაში.

პრესკონფერენციაზე მხარეებმა ხაზი გაუსვეს, რომ მანასის აეროპორტში მდებარე ამერიკული ბაზის საკითხი, რომელიც ავღანეთში მოქმედი ნატო-ს კოალიციის მოსამარაგებლად გამოიყენება, შეხვედრაზე არ განუხილავთ (თუმცა ამ სიტყვების დაჯერება ალბათ შეუძლებელია). პუტინმა განაცხადა, რომ ყირგიზეთის ტერიტორიაზე რუსეთის, ამერიკის თუ რომელიმე სხვა სახელმწიფოს სამხედროების ყოფნის საკითხი მხოლოდ ამ ქვეყნის გადასაწყვეტია და ამ სუვერენულ უფლებაში ვერავინ ჩაერევა. მაგრამ ალმაზბეკ ატამბაევმა იქვე დასძინა, რომ ხელშეკრულების ამოწურვისთანავე, 2014 წელს ამერიკული სამხედრო ბაზა გაუქმდება და მანასის აეროპორტი სამოქალაქო ობიექტი გახდება. დაგეგმილია მისი გადაქცევა საერთაშორისო გადაზიდვების რეგიონულ ცენტრად. ატამბაევის სიტყვებით, ის არასდროს მალავდა, რომ ამერიკული სამხედრო ბაზის ქვეყნიდან მოშორებას აპირებდა.

კიდევ ერთი სერიოზული საკითხია ჰესების ორი კასკადის მშენებლობა მდინარე ნარინზე, რაც, არსებული შეთანხმებით, ერთობლივად უნდა განხორციელდეს. ეს პროექტი რამდენიმე მილიარდ დოლარად არის შეფასებული. პუტინმა განაცხადა, რომ ჰესები აუცილებლად აშენდება, ოღონდ ჯერ მისი მშენებლობის ვადები არც დასახელებულა. მდინარე ნარინი რეგიონის მთავარი ჰიდროარტერიის - სირდარიის მნიშვნელოვანი შენაკადია. შესაბამისად, დიდ როლს ასრულებს უზბეკეთისა და ყაზახეთის ველების მორწყვაში. უზბეკეთი ეწინააღმდეგება ჰესების კასკადების მშენებლობას, რადგან, მათი აზრით, ეს ყირგიზეთს საშუალებას მისცემს, უზბეკეთისკენ წყალი დოზირებულად გაუშვას. ყირგიზეთი კი ამტკიცებს, რომ, სინადვილეში, პირიქით მოხდება. ჰესები მათ საშუალებას მისცემს, ზამთარში წყალი დააგროვონ და ტყუილად არ გაუშვან ბარში, მორწყვის სეზონში კი მომარაგებული წყლის რესურსი სამივე სახელმწიფოს ეყოფა. რუსეთის პრეზიდენტმა ამ პროექტებში მონაწილეობა შესთავაზა უზბეკეთსა და ყაზახეთს, რათა მათ ეჭვები გაუქრეთ და წყლის რესურსების მართვაშიც მიიღონ მონაწილეობა.

თუმცა ექსპერტებს აქვთ სხვა ვარაუდიც. ყირგიზეთის ჰესებზე კონტროლით რუსეთი შეძლებს, ზეწოლა მოახდინინოს ამ რეგიონის უფრო ძლიერ და "ურჩ" სახელმწიფოებზე. ეს განსაკუთრებით ითქმის ოფიციალური ტაშკენტის მისამართით. ბოლო პერიოდში უზბეკეთმა დატოვა კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია და, სავარაუდოდ, აპირებს, ამერიკელებს თავის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზა გაახსნევინოს.

სიყვარული, ვიეტა და სხვები

პირველი გვერდიდან

აკადემიის წესების თანახმად, განაცხადების მიღების ვადა 1 ოქტომბერს იწურება, ნომინანტებს კი (სულ ხუთ ფილმს) 24 იანვარს დაასახელებენ - სწორედ იმ დღეს, როდესაც დანარჩენი ნომინაციების შესახებაც გახდება ცნობილი. ზუსტად ერთი თვის შემდეგ კი უკვე გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალს მივადევნებთ თვალს.

1 ოქტომბრისთვის ცნობილი იქნება, თუ რომელ ფილმს წარადგენს საქართველო. ეროვნულ კინოცენტრში უკვე შედგენილია ამ საკითხზე მომუშავე კომისია, რომელსაც დიდი გარჯა ნამდვილად არ მოუწევს, რადგან 2012 წელი ჩვენთან ფილმწარმოების მხრივ საკმაოდ მწირი იყო. ამრიგად, ვარაუდების გამოთქმა საკმაოდ იოლია - არჩევანი ან ქეთი მაჭავარიანის "მარილივით თეთრზე" შეჩერდება, ან რუსუდან ჭყონიას ფილმზე "გაიღიმეთ". წინასწარი გათვლა ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია: თუ გავითვალისწინებთ, რომ რამდენიმე კვირის წინ "გაიღიმეთ" ვენეციის კინოფესტივალზე საკმაოდ წარმატებულად იყო წარმოდგენილი, თანაც მისი გაქირავება ბათუმის "აპოლოში" გუშინ დაიწყო (აკადემიის წესების თანახმად, ნომინირების კანდიდატი ფილმი მწარმოებელ ქვეყანაში მაინც უნდა იყოს გამოსული). როგორც კინოკრიტიკოსები აფასებენ, ჭყონიას ტრაგიკომედია ძალიან კარგია, ამრიგად, იმედიანად უნდა ვიყოთ, რომ, თუ ჩვენი კომისია ამ ფილმს შეარჩევს, ამერიკის კინოაკადემიასთან არ შევრცხვებით.

ამ დროისთვის უკვე ცნობილია რამდენიმე ქვეყნის მიერ წარდგენილი ფილმების ჩამონათვალი, რომელთა შორის იმდენად ცნობილი და წარმატებული საფესტივალო ბიოგრაფიის მქონე ნამუშევრებია, შეგვიძლია ვთქვათ, რომ წინ ნამდვილი ტიტანთა შეჯახება გველის. მათ შორისაა წლევანდელი კანის "ოქროს პალმის რტოს" მფლობელი ფილმი, მიხაელ ჰანეკეს "სიყვარული", რომელშიც მთავარ როლებს შესანიშნავი იზაბელ იუპერი და ჟან ლუი ტრენტინიანი ასრულებენ. მიხაელ ჰანეკეს სახელი "ოსკარზე" 2010 წელსაც ისმოდა, როდესაც საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის ნომინაციაში მისი "თეთრი ბაფთა", ასევე კანის გამარჯვებული ფილმი, იყო წარდგენილი. მაშინ ყველა სწორედ "ბაფთის" გამარჯვებას ელოდა, თუმცა მოხდა საოცრება და იმ

წელს ჯილდო არგენტინულმა ფილმმა "სიმართლე მის თვალებში" მიიღო.

ლონგლისტში ვენეციის კინოფესტივალის გამარჯვებული "პიეტას" სახელწოდებაც იკითხება, სამხრეთ კორეელი კიმ კი დუკის ფილმი, რომელიც, ნომინაციაში მოხვედრის შემთხვევაში, უდავოდ ჰანეკეს ერთ-ერთი მთავარი კონკურენტი გახდება. ნომინაციაში მოხვედრას უწინასწარმეტყველებენ რუმინელი კრისტიან მუნჟუს ფილმსაც "ბორცვებს მიღმა", რომელიც, ჰანეკეს "სიყვარულის" მსგავსად, წლევანდელი კანის კინოფესტივალის საკონკურსო სექციის მონაწილე გახლდათ. ალბათ გახსოვთ, ამ რეჟისორის მიერ 2007 წელს გადაღებული "4 თვე, 3 კვირა, 2 დღე" - შესანიშნავი დრამა, რომელმაც იმ წელს კანშიც გაიმარჯვა და "ოქროს გლობუსზეც" იყო ნომინირებული, თუმცა ჯულიან შნაბელის ფანტასტიკურ "პეპელა და სკაფანდრთან" დამარცხდა.

გერმანია წელს კრისტიან პეტცოლდის "ბარბარას" წარმოადგენს, ფილმს, რომელმაც ბერლინის კინოფესტივალზე "ვერცხლის დათვი" მოიგო რეჟისურისთვის და მთავარ ჯილდოზეც იყო ნომინირებული. პოლონეთი "ოსკარს" ვალდემარ კშისტეკის "80 მილიონს" სთავაზობს, უკრაინა - მიხაილ ილიენკოს ფილმს "ის, ვინც ცეცხლიდან მოვიდა", ხოლო რუსეთმა კარენ შახნაზაროვის "თეთრი ვეფხვი" შეარჩია.

აქვე შეგახსენებთ, რომ შარშან საქართველომ "ოსკარის" ნომინაციისთვის ოთარ იოსელიანის "შანტრაპა" შეარჩია, რომელიც ლონგლისტს არ გასცდენია. ერთი წლით ადრე ლევან კოღუაშვილის "ქუჩის დღეები" წარვადგინეთ, მანამდე - გიორგი ოვაშვილის "გაღმა ნაპირი", უფრო ადრე კი "ოსკარის" ნომინაციაში მოხვედრის კანდიდატები დიტო ცინცაძის "მედიატორი" და ალეკო ცაბაძის "რუსული სამკუთხედი" იყო. ერთადერთი ქართული კოპროდუქცია კი, რომელიც ხუთ ნომინანტთა შორის აღმოჩნდა, ნანა ჯორჯაძის "შეყვარებული კულინარის 1001 რეცეპტია", რაც შორეულ 1997 წელს მოხდა.

ადამიანები გარემოში და საკუთარ თავის ძიებისკენ

გალერეა "ვანდა" ევროპელ მხატვრებს წარმოგვიდგენს

ბელა ჩეკურიშვილი

ჰოლანდიელი მხატვარი კარლა კლიიკამპი და ფრანგი ან-მარი რეღი გალერეა "ვანდაში" დღეიდან 29 სექტემბრამდე გრაფიკული ნამუშევრების გამოფენას წარმოადგენენ. ქაღალდი, რაზეც ეს სრულიად სხვადასხვა იდეის, სტილისა და ტექნიკის ნამუშევრებია შესრულებული, დამზადებულია არა ხის მასალის, არამედ ქსოვილის ნარჩენებისაგან, რასაც მხატვრებისთვის კონცეპტუალური დატვირთვა აქვს და რაც ადამიანისა და გარემოს ჰარმონიულ თანაცხოვრებას გულისხმობს. სწორედ ეს თემაა ინტენსიური კარლა კლიიკაპმის აკვარელით შესრულებულ ნამუშევრებში, რომელსაც მხატვარი ოფორტის ტექნიკით აკეთებს, და რომელიც ზუსტად ჯდება მის განწყობასთან - იოლად მოწყვლადი, ფაქიზი და მთრთოლვარე სამყაროს არსებობას რომ შეგვახსენებენ.

ეკოლოგია 21-ე საუკუნის მხატვართა საყვარელ თემად იქცა, თუმცა სიყვარული ნაკლებად შეიძლება დავარქვათ იმ ტკივილს, რის წინაშეც თანამედროვე ცივილიზაცია აღმოჩნდა და რომლის მზარდი პროცესის შეჩერებასაც ვერაფრით ვახერხებთ. კარლა კლიიკამპის ნამუშევრებში ეს მხატვარის მგრძნობიარე პულსი მუდამ ფეთქავს, მაშინაც კი, როცა თითქოს, უბრალოდ, ციმბირული მდინარე ენისეის პეიზაჟს ასახავს. იქვეა მორებად ქცეული ხეები, ციმბირის ბუნებას რომ ანადგურებს. "ადამიანებს ჩვენი გზა გაგვყავს, მაგრამ სამყაროში არსებულ სხვა არსებებსაც უნდა დავუტოვოთ არეალი," - გვიხსნის იგი თავისი ნახატის "მთავარი გზის" პასუხად და იქვე იმასაც გვიჩვენებს, რაც წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს - ნახატების ციკლი "2125" მეხსიერებაში შემორჩენილ ცხოველთა სამყაროსა და გადაგვარებულ დედამიწას ასახავს, მარტივი, ინფანტილური ხაზებით შექმნილი დაჩიავებული, უფუნქციო ადამიანებით.

ადამიანთა შორის ურთიერთობა, კულტურათა შეხვედრა და დიალოგი, რწმენა და ხვალნდელი დღე - აი, კარლა კლიიკამპის მთავარი სათქმელი, რასაც იგი ქართველ დამთვალიერებელს სთავაზობს.

"ვიცხოვრო იდეით დაძაბულმა და მქონდეს გამოწვევა, რომ ეს ჩემთვის ხელმისაწვდომი ტექნიკით გამოვსახო, დამოკიდებულებად მექცა. ყველა შესაძლო ტექნიკებს შორის, ოფორტი ჩემი ფავორიტია. მიყვარს რკინაზე ხაზების, ფაქიზი და დრამატული გამოსახულებების ჭრა, იდეის წარმოსახვა და თუთიის ფირფიტაზე ხატვა. მჟავის აბაზანის გამოყენებით ხაზები იცვითებიან და ხუნდებიან და განსაკუთრებულ სახეს იღებენ. ეს ხაზები მხატვრის ხელწერას გამოხატავენ, და როგორც ძველი ჩინელი ოსტატები იტყვიან, ვცდილობ, ჩემს ხაზებს შევძინო სასიცოცხლო რიტმი, ხოლო სიცარიელეს უფლება მივცე, შეასრულოს მთავარი როლი," - ამბობს კარლა კლიიკამპი.

ან-მარი რეღის ნამუშევრები აკრილისა და აკვარელის კომბინაციაა, რაც მხატვარმა სპეციალურად თბილისური გამოფენისთვის შექმნა. ან-მარი რეღი ფერმწერია, იგი დიდი ზომის ტილოებზე ზეთის საღებავებით მუშაობს, მაგრამ მას შემდეგ, რაც საქართველოში წამოსვლა დაიგეგმა, იოლად ტრანსპორტირების მიზნით გადაწყვიტა, ფერწერული ნამუშევრები ქაღალდზე გადაეტანა და აკრილის საღებავი გამოეყენებინა. ცხოვრებაში პირველად მოუწია, მოლბერტის ნაცვლად, მაგიდაზე ხატვამ და როგორც გვიხსნის, ამ პროცესმა მას ახალი აღმოჩენები გააკეთებინა. ექსპოზიცია, საერთო სახელით "ჰუმანიმალიტე", ადამიანში ატავისტური ფესვების ძიებას წარმოადგენს, მაგრამ არა - ნეგატიური და შეურაცხმყოფელი კუთხით. მხატვარს ადამიანის გარე სამყაროსთან სინთეზი აინტერესებს, უფრო ღრმა კავშირებს ეძებს, ვიდრე ზედაპირზე ჩანს. ამიტომაც ნამუშევრებს ხან დრუიდების განწყობა მოაქვს, ხანაც - ანტიკური მითების მინოტავრსა თუ ნარცისზე.

კარლა კლიიკამპი, ან-მარი რეღი



დღეს ან-მარი უკვე საქართველოში მიღებულ ემოციაზე საუბრობს, რომელიც მისი მომავალი ნამუშევრების ინსპირაციის წყარო გახდება. ორივე მხატვრისთვის თბილისი, პირველ რიგში, საინტერესო არქიტექტურის მიქსია, ძველი, გაცრეცილი სახლებიც კი მათში დადებით ემოციებს ბადებს, რომ აღარაფერი ვთქვათ ქალაქის ევროპულ და აზიურ ფენებზე.

"როცა ვსაუბრობთ ჩემს ფერწერაზე, შეიძლება ითქვას, რომ მე მყარად ვიმყოფები ემოციათა სივრცეში. ჩემი შემოქმედება, უპირველეს ყოვლისა, იმპროვიზირებული თემებია, რომელიც წამიერად იბადება და რომელსაც გადავყავარ სხვადასხვა ტალღაზე. დაუფიქრებლად მივენდობი ხოლმე ემოციებსა და უტოპიურ ფორმებს, რომელსაც ვპოულობ ჩემს თავში და ციკლის სახით გადმომაქვს ჩემს შემოქმედებაში. გატაცება მაქვს ფერებისკენ. ის მოიცავს ჩემი მეხსიერების ფსკერს, ბავშვობის მოგონებებს ლოტარინგიაში, სადაც ფოლადის ღუმელი დღედაღამ აფრქვევდა ცეცხლს, და ამ ფერთა გამაზე ჩვეულებრივ ცას ცისფრად ვერ აღვიქვამდი. მაშინ ვისწავლე კვალის, ანაბეჭდების, სულის ნარჩენის შემთხვევითი ნიშნების ცნობა, რომლებიც ყოველთვის მაფიქრებდა. დედამიწის ყოველ ნაწილში ვპოულობ შთაგონების წყაროს და ვინარჩუნებ გაკვირვებისა და ცნობისმოყვარეობის გრძნობას. ამჯერად ვხატავ ცხოვრებისეულ დღიურებს, რომლებსაც დროდადრო ვაკრავ ესკიზებზე და ამავე დროს ყოველთვის ვხატავ აბსტრაქტული სიყვარულის ნაწილს"- ამბობს ან-მარი რეღი.

თბილისში გამოფენის მოწყობის იდეა კარლა კლიიკამპს ფლეიტისტმა და მუსიკის მკვლევარმა მაგდალენა კუნმა მიაწოდა, რომელიც საქართველოს საკონცერტო პროგრამით რამდენჯერმე ეწვია, ახალგაზრდებს ფლეიტის გაკვეთილებს უტარებს და კონკურსიც კი დააარსა. მან აჩვენა მხატვარს თბილისის ფოტოები და როგორც კარლა კლიიკამპი იხსენებს, ეს ქალაქი ფოტოების ნახვისთანავე შეუყვარდა. გალერეა "ვანდა" კი ინტერნეტით მოიძია, სივრცე მოეწონა და ფრანგი კოლეგაც შეაგულიანა. სხვადასხვა სტილსა და ტექნიკაში მომუშავე ორი მხატვრის საერთო გამოფენა მართლაც საინტერესო გამოდგა, დიალოგი შედგა. როგორი იქნება დიალოგი ქართველ დამთვალიერებლთან? ქართული სივრცე არც ისე განებივრებულია თანამედროვე ევროპელი მხატვრების ნამუშევრების ხილვით. იმის თქმაც შეიძლება, რომ, როგორც ჩვენს შესახებ აქვს ევროპულ არტსივრცეს მწირი ინფორმაცია, ასევე ჩვენც, სულ რამდენიმე თანამედროვე მხატვარზე თუ შეგვიძლია დღეს საუბარი. კარლა კლიიკამპის და ან-მარი რეღის ცოდნა საქართველოსა და ქართული კულტურის შესახებ მწირია, თუმცა კი ხელოვნებას ერთი რამ აერთიანებს ყველაგნ და ყოველთვის - ეს გულწრფელობა და ხარისხია. რაც შეეხება მხატვართა ყოფას სულიერებისა თუ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე, ხელოვანებს ევროპაშიც ისევე უჭირთ, როგორც საქართველოში, განსხვავება მხოლოდ მასშტაბებშია. ჰოლანდიაში გალერეები იხურება, მყიდველს მხოლოდ დიდი და ცნობილი გალერეები ინარჩუნებენ, რომლებიც ყიდულობენ იმას, რაც უკვე საკულტოდაა ქცეული. "ჰოლანდიაში ხატვა ფუფუნებაა, სამთავრობო სექტორი, ძირითადად, ავანგარდულ მხატვრობას ეხმარება. საფრანგეთში უფრო მაღალი სტატუსი აქვს ხელოვნებას, უფრო აფასებენ, შესაბამისად, მხატვრები უკეთეს პირობებში არიან. ყოველი საჯარო შენობის ღირებულების 1% ხელოვნების ნიმუშების შეძენას ხმარდება. თუმცა ევროპელ მხატვრებს თავის სარჩენად მაინც უწევთ სხვადასხვა სამსახურის ძებნა და განსხვავებული საქმის კეთება,"- ამბობენ სტუმრები, რომლებიც ამავე დროს დედები არიან და მთელი მათი დრო ოჯახის მოვლას ხმარდება.

სსიპ კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი

პირველი რეგიონალური ორგანიზაცია კონსტიტუციონალიზმის სფეროში
ხელმძღვანელი ავთანდილ დემეტრაშვილი

„კონსტიტუციონალიზმის გაკვეთილები"

წაიკითხე → შეიმეცნე → დაიმახსოვრე

ყოველკვირეული რუბრიკა
უძღვება კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის ხელმძღვანელი ავთანდილ დემეტრაშვილი

მუხლი 73

1. საქართველოს პრეზიდენტი: ა) დებს საერთაშორისოხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, აწარმოებს მოლაპარაკებას უცხოეთის სახელმწიფოებთან; პარლამენტის თანხმობით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს ელჩებსა და სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებს; იღებს უცხოეთის სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა ელჩებისა და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლების აკრედიტაციას; ბ) პარლამენტის თანხმობით ნიშნავს მთავრობის წევრებს - მინისტრებს; გ) უფლებამოსილია თანამდებობიდან გაათავისუფლოს მინისტრები; დ) იღებს მინისტრებისა და კანონით განსაზღვრული სხვა თანამდებობის პირების გადადგომას, უფლებამოსილია მინისტრებს დააკისროს თანამდებობრივ მოვალეობათა შესრულება ახალი მთავრობის შექმნამდე; ე) წარუდგენს პარლამენტს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს პარლამენტის შესაბამის კომიტეტებთან ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების შეთანხმების შემდეგ; ვ) პარლამენტს წარუდგენს, ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობის პირებს კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით; ზ) საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში აცხადებს საომარ მდგომარეობას, სათანადო პირობების არსებობისას დებს ზავს და არა უგვიანეს 48 საათისა შეაქვს ეს გადაწყვეტილებები პარლამენტში დასამტკიცებლად; თ) ომიანობის თუ მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო გადატრიალებისა და შეიარაღებული ამბოხების, ეკოლოგიური კატასტროფების და ეპიდემიების დროს, ან სხვა შემთხვევებში, როცა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებული არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში აცხადებს საგანგებო მდგომარეობას და არა უგვიანეს 48 საათისა ეს გადაწყვეტილება შეაქვს პარლამენტში დასამტკიცებლად. საგანგებო მდგომარეობის დროს გამოსცემს კანონის ძალის მქონე დეკრეტებს, რომლებიც მოქმედებს საგანგებო მდგომარეობის დამთავრებამდე, ახორციელებს საგანგებო ღონისძიებებს. დეკრეტები წარედგინება პარლამენტს, როცა იგი შეიკრიბება. საგანგებო უფლებამოსილებანი ვრცელდება მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, სადაც ამ პუნქტში აღნიშნულ მიზეზებთან დაკავშირებით გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა; ი) პარლამენტის თანხმობით უფლებამოსილია შეაჩეროს თვითმმართველობის ან ტერიტორიული ერთეულების სხვა წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობა, ან დაითხოვოს ისინი, თუ მათი მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა განხორციელებას; კ) კონსტიტუციისა და კანონის საფუძველზე გამოსცემს ბრძანებულებებს და განკარგულებებს; ლ) ხელს აწერს და აქვეყნებს კანონებს კონსტიტუციით განსაზღვრული წესით; მ) წყვეტს მოქალაქეობის, თავშესაფრის მიცემის საკითხებს; ნ) ანიჭებს სახელმწიფო ჯილდოებს, უმაღლეს სამხედრო, სპეციალურ და საპატიო წოდებებს, უმაღლეს დიპლომატიურ რანგებს; ო) ახორციელებს მსჯავრდებულთა შეწყალებას;

საქართველოს პრეზიდენტი, როგორც სახელმწიფოს მეთაური სარგებლობს ძალიან ფართო უფლებმოსილებებით. პრეზიდენტი, როგორც საქართველოს უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებში ბრძანებულებით იღებს გადაწყვეტილებას იმ საერთაშორისო ხელშეკრულების დამტკიცების (ან მასთან შეერთების) შესახებ, რომელიც არ ექვემდებარება პარლამენტის მიერ რატიფიცირებას (ან მასთან შეერთებას) და რომელიც ძალაში შესვლისათვის საჭიროებს შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების განხორციელებას. აგრეთვე გადაწყვეტილებას სახელმწიფოთაშორისი და მთავრობათაშორისი ხელშეკრულებების თაობაზე მოლაპარაკების გამართვისა და მათი ხელმოწერის შესახებ, რომელსაც იღებს განკარგულების სახით. პრეზიდენტი იღებს გადაწყვეტილებას დიპლომატიური წარმომადგენლობის დაფუძნებისა და ლიკვიდაციის შესახებ. მთავრობასთან ერთად ახორციელებს აღმასრულებელ ხელისუფლებას და წარმოადგენს მთავრობის ზემდგომ ორგანოს. მთავრობა და პრემიერ-მინისტრი პასუხისმგებელნი არიან პრეზიდენტის წინაშე, რომელიც უშაუალოდ და აქტიურად მონაწილეობს საქართველოს მთავრობის ფორმირებისა და საქმიანობის პროცესში და უფლებამოსილია განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებთან დაკავშირებით მოიწვიოს მთავრობის სხდომა და თავჯდომარეობდეს მას. ამგვარ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება პრეზიდენტის სამართლებრივი აქტებით. საქართველოს პრეზიდენტი ახორციელებს აღმასრულებელი ხელისუფლების სამართლებრივ ზედამხედველობას. პრეზიდენტი უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს მთავრობისა და აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა აქტები, თუ ისინი ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, კანონებსა და პრეზიდენტის ნორმატიულ აქტებს. პრეზიდენტის აღნიშნული უფლებამოსილება არ მოქმედებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამართლებრივი აქტების მიმართ.

საქართველოს პრეზიდენტი როგორც საქართველოს სამხედრო ძალების მთავარსარდალი უზრუნველყოფს სახელმწიფოს უშიშროებასა და უსაფრთხოებას, ნიშნავს და ათავისუფლებს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრებს, საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროს, ამტკიცებს სამხედრო ძალების სტრუქტურას, იღებს გადაწყვეტილებას სამხედრო ძალების გამოყენების თაობაზე. დაუშვებელია საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად სამხედრო ძალების გამოყენება საქართველოს პარლამენტის წინასწარი თანხმობის გარეშე.

საქართველოს პრეზიდენტის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას განეკუთვნება გადაწყვეტილების მიღება საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების, შეწყვეტისა და აღდგენის თაობაზე. აგრეთვე პრეზიდენტი უზრუნველყოფს საქართველოში შემოხიზნული უცხოელ მოქალაქეთა ან მოქალაქეობის არმქონე პირთათვის თავშესაფრის მიცემის ძირითადი უფლების რეალიზებას. პრეზიდენტის ნორმატიული სამართლებრივი აქტებია ბრძანებულება და განკარგულება აგრეთვე ის გამოსცემს ბრძანებას, როგორც საქართველოს სამხედრო ძალების მთავარსარდალი. საგნგებო მდგომარეობის დროს კი გამოსცემს კანონის ძალის მქონე დეკრეტებს.

აკაკი კუხალეიშვილი
კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი, საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის სპეციალისტი

73-ე მუხლის I პუნქტის სხვა ქვე პუნქტები და ამავე მუხლის სხვა პუნქტები იხილეთ გაზეთ 24 საათის შემდეგ ნომრებში.

ქ.ბათუმი, სოფლიოს ალეკსანდრეს №N26
ტელ: (+995 32) 2 72 57 12; (+995 32) 2 72 57 21
WWW.CONSTCENTRE.GOV.GE

მგლების სეზონი

პირველი გვერდიდან

(მარცხნიდან) კევინ ლავი, რიკი რუბიო და ანდრეი კირილენკო

კობისთან, ტრადიციასთან, ჯეკ ნიკოლსონთან, შარლიზ ტერონის იდეალურ სხეულთან, არნოლდის ავსტრიულ ინგლისურთან. დასავლეთში ფლეი-ოფის ვიზის აღება უფრო ძნელი იქნება. გასავლელია ბევრი დონე და 82 სისხლიანი გარჩევისგან შემდგარი ლაბირინთი. იმ ლაბირინთში თავისი მინოტავრი ("ოკლაჰომა"), აიდი ("ლეიკერსი") და არესი ("სან ანტონიო") სეირნობენ. ფიქსატორით ან გლოკით იქ სეირნობა სახიფათოა. ლაბირინთში შესვლამდე შეიცვალა, უკეთესი გახდა "მინესოტა". კევინ ლავი ამ რეგულარულში უფრო ნიჭიერი გუნდის ბოსი იქნება. ლავმა ჯეკპოტი მოხსნა.

ჯერ იმ ბიჭებზე, ვინც მინეაპოლისიდან გაუშვეს.

"ფინიქსშია" მაიკლ ბისლი. ფორვარდი, რომელიც ლავთან ერთად ამ გუნდის მომავალი, ფრენჩაიზის სახე უნდა ყოფილიყო, მარიხუანაზე შეჯდა და ბორდელებში უფრო იღლებოდა, ვიდრე კალათბურთში. ბისლიმ არიზონაში 11.5 ქულა და 4.4 მოხსნა წაიღო.

არიზონაში მოწრუპავს მანგოს წვენს უეს ჯონსონი. "მინესოტამ" ორი წლის წინ, დრაფტზე, ის მეოთხე ნომრად აიყვანა და პირველ სეზონში უესის 9.0 ქულა და 3.0 მოხსნა ნორმალური იყო. მერე წამოვიდა ხელფასის დასველება, ვისკიში ჩაწოლა და კადილაკების მტვრევა. ბოსებმა ჯონსონის მეორე სეზონის სტატისტიკაც (6.0+2.7 მოხსნა) ვერ მიიღეს და მისტერ ჯონსონი "ფინიქსშია". ბრედ მილერიც და 36 წლის ცენტრი მაინც ბალასტია. თუ ვერ თამაშობ და არ გინდა, რომ მეტი გათამაშონ, ველარ ქაჩავ... მილერიც ადრე კარგი ბიჭი იყო. ადრე ჯეიმს ჰეთფილდის ბანდაც მაგარ მუსიკას უკრავდა. ადრე ადრეა და დღეს მილერი საშუალოდ 2 ქულას და 1 მოხსნას იღებს. წადი, ბაბუ, დაისვენე.

მარტელ ვებსტერი სულ ვიღაცას ცვლის, ასვენებს. "პორტლენდში" ეს თემა ოთხი სეზონი მიდიოდა. "პორტლენდში" გაასწორა და მერე "მინესოტა" იყო. პირველ სეზონში - 9.8 ქულა, 3.2 მოხსნა, 23.4 წუთი. მეორე სეზონში - 6.9 ქულა, 3.6 მოხსნა, 24.1 წუთი. ვებსტერისგან ცოტა მეტ დროში ცოტა ნაკლები ბონუსი მოდის. გასაშვები იყო. ვებსტერი "ვაშინგტონში", ალექსანდრ ოვეჩკინთან და ბარაკ ობამასთან იმეგობრებს.

გაუშვეს ენტონი რენდოლფიც. ნორმალური, საჭირო მაღალი ბიჭი. იდგა მეოთხე ნომერზე, ადიოდა ცენტრზე, დისკომფორტს უქმნიდა გარნეტს, დერეფანს უკეტავდა ბაინუმს, სწავლობდა დანკანისგან. რენდოლფი "გოლდენ სტეიტში" იწყებს კარიერას და მერე ("ნიქსის" გავლით) მოდის "მინესოტა". თავიდან ყველაფერი კარგად აეწყო (11.7+5.2 მოხსნა 20.1 წუთში). შარშან ტონიმ ნაკლებ დროში (15.1) ნაკლები წამოიღო (7.4+3.6 მოხსნა). ენტონი "დენვერში" ტიმოფეი მოზგოვთან ტერცს შეუბერავს.

ეს ბიჭები წავიდნენ და კევინ ლავთან მაგარი პერსონაჟები მოდიან. კევინის ერთჯერადი გუნდი შეიცვალა. თუ ახალი ჯარისკაცები არ იზარმაცებენ, გენერალი ლავი ამ გენერაციის ლეონიდე იქნება. თავისი სპარტელებით და ბრძოლის ველზე დაჩეხვის პერსპექტივით. ლავი ბოსია. ლავი ამ ბიჭებს იმსახურებდა.

"მინესოტაში" მიდის იაფი (854 389 $) ფორვარდი ჩეის ბადინგერი. "ჰიუსტონიდან" ბადის 9.6 ქულა, 3.7 მოხსნა და 219/88 (40.2 %) სამიანი მიაქვს. წავა. ზონის დასაშლელად "მინესოტა" ლავის უნივერსალიზმს იყენებდა. ბადიმ საქმე იცის.

"მინესოტაში" ჩავიდა ფორვარდი დანტე კანინგემი. სამი წლის წინ "პორტლენდმა" ფორვარდი დრაფტის მესამე ნომრად დაირტყა და კანინგემი ვერ გაიშალა. ცოტა ზარმაცი და ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდა მეოთხე ნომერი. იდეაში, დაასვენებს ლავს და თუ არ დაიღლება, სხვა ამბებშიც წავა. შარშან "მემფისში" - 5.2+3.8 მოხსნა. Nice.

გრეგ სტიემსი წინა სეზონს "სოხუმში" იწყებს, "ბოსტონში" ამთავრებს და ფლეი-ოფში ლებრონს დაუფარა. მოუქნელი და მშრომელი თეთრი ბიჭი. 762 195 დოლარად აუცილებლად უნდა აეყვანათ. გრეგი ჭკვიანი მოთამაშეა. იდგება მეოთხეზე, ავა ცენტრზე, 3-4 ქულას და ამდენივე მოხსნას დატოვებს, მსაჯებთან იწუწუნებს. ესეც წავა.

ალექსეი შვედი რუსია. კალათბურთს ამერიკულად ხედავს. შვედში ჯეისონ სტეთემის ენერგია, ტონი პარკერის სისწრაფე, რიკი რუბიოს ფანტაზია და ზედმეტი ბრექობაა. თუ საშა აბადოკის გასწორებაზე მეტად კალათბურთსა და კარიერაზე იფიქრებს, ბევრს მიაღწევს. შვედი ლამაზი ახალგაზრდაა, რომელიც სეზონს ალბათ, პირველ ხუთეულში დაიწყებს. რიკი რუბიო დალეწილია და შვედს პარკერებს და როუზებს გააცნობენ. საინტერესო იქნება. შვედისგან 6-7 ქულა და ხუთ პასამდე წამოვა.

"მინესოტამ" ფერფლიდან ამოიღო და "მაკდონალდსში" წაიყვანა ბრენდო როი. გახსოვთ ტიპი, რომელიც ყველაფერს აკეთებდა? რომელიც "პორტლენდის" მომავალი იყო და მერე როი დაილეწა. და მომავალი ჩამოინგრა. "პორტლენდის" პროგრესიც გაჩერდა და ბრენდონმა კარიერა დაამთავრა. კარიერა, რომელიც გრანტ ჰილის, სკოტი პიპენის, დერონ უილიამსის მიქსტი იყო.

როის პირველი სეზონი - **16.8** ქულა, 4.4 მოხსნა, 4.0 პასი, 1.2 ჩაჭრა. 35.1 წუთში.

ბრენდონის მეორე რეგულარული - **19.1**+5.8 პასი+4.7 მოხსნა+1.1 ჩაჭრა. 37.4 წუთში.

როიმ მესამე რეგულარულშიც აკრიფა - **22.6**+5.1 პასი+4.7 მოხსნა+1.1 ჩაჭრა. 37.1 წუთში.

ბრენდონის მეოთხე სეზონი სტაბილური, სოლიდურია - **21.5**+4.7 პასი+4.4 მოხსნა+0.9 ჩაჭრა. იდენტურ (37.1) დროში.

შარშანწინ როი უკვე ტრავმით დარბოდა, დისკომფორტით **12.2** ქულას, 2.7 პასს, 2.6 მოხსნას იღებდა. 27.5 წუთში. მერე მუხლები დაეღალა. და როიმ კარიერა დახურა. ჩავიდა ესპანეთში, "კახა ლაბორალში" წაივარჯიშა და კიდევ ერთი სამედიცინო შემოწმების შემდეგ, ექიმებმა, - მიდი, შეუბერეო, უთხრეს. "მინესოტაში" ახალი როი ჩადის. უნივერსალი, რომელიც ვერ იქნება პირველ ხუთეულში. პერსონაჟი, რომელიც რუბიოს და შვედს ბევრ რაღაცას აუხსნის, პიჟონ ევროპელებს აზრზე მოიყვანს. როისთან ერთად ლავიც უფრო მშვიდად დაიწყებს სეზონს. ბრენდოს ორ სეზონში 10.5 მილიონს აძლევენ. ღირს.

და "მინესოტას" მთავარი სვლა. გუნდმა ანდრეი კირილენკო წამოიყვანა. ევროპაში, ცსკას სამხედრო სამოთხიდან, კირილენკო ბრუნდება იქ, სადაც ერთ-ერთი საუკეთესო დამცველი გახდა. ბენ უოლასთან, ბრიუს ბოუენთან, მარკუს კემბისთან, კევინ გარნეტთან, ტიმ დანკანთან ერთად, ანდრეი დაცვის ყველაზე დაუნდობელ ტერორისტებში იყო. ალბათ, ცოტა სისწრაფე დაკარგა და რუსი ფორვარდი მაინც ჯეკპოტია. კირილენკო კლასია. "მინესოტას" მთავარმა მწვრთნელმა, რიკ ადელმანმა, საჭირო მოთამაშე და კიდევ ერთი ასისტენტი მიიღო.

ერთ სეზონში 11 მილიონად "მინესოტა" ბევრს იღებს. კირილენკო დაზღვევაზე პირველია. კირილენკო იჭერს მეორე ნომრებს. ანდრეი ადის ლებრონებზე და დიურანებზე. კირილენკო ჩავა სამწამიანში და აეკრობა დანკანს ან დევიდ ლის. თუ საჭიროა, ანდრეი იცენტრებს და სამწამიანიდან მოწინააღმდეგის დიდ ბიჭებს გამოიყვანს. კირილენკო რეალური ჯეკპოტია და ლავმა ეს იცის.

კევინ ლავი: "კირილენკო დიდი ძალაა. გამოცდილება, ინტელექტი, აგრესია და, ამავე დროს, სიმშვიდე. ბრენდონთან ერთად, ანდრეიმ გასახდელში ბევრი კარგი რჩევა უნდა დატოვოს და ეს რჩევები გასათვალისწინებელია. იმედი მაქვს, ბრენდონი ჯანმრთელი, ჩვენთან თამაშით ბედნიერი იქნება. შვედი რუბიოა, ოღონდ არაესპანელი. ორი რუბიო ერთ გუნდში. ხომ წარმოგიდგენიათ, ეს რა იქნება!.. მოუმატებს ნიკოლა პეკოვიჩი. როგორც ვიცი, კევინ ლავიც ნორმალური მოთამაშეა. მწვრთნელი ადელმანი კმაყოფილი იქნება."

უნდა იყოს. ანდრეისთან ერთად რუსეთის ნაკრები ოლიმპიადებზე და ევროპებზე მესამეა. კირილენკოს გარეშე დევიდ ბლატის გუნდს დაჭრიან, სისხლისგან დაცლიან.

კევინ ლავიც შეიცვალა. აგრესიული, მოძრავი მომხსნელისგან, ლავი ლიგის ხუთ საუკეთესო მოთამაშეში შევიდა. იქ, სადაც კობი ბრაიანტი, ლებრონი, კრის პოლი და კევინ დიურანი ავიდნენ. კალათბურთის პანთეონი და კარგი ბიჭების უბანი. ლავმა წინა რეგულარულის პირველი ნახევარი ახალგაზრდა დანკანივით დაფარა და მერე ცოტა დაიღალა. კევინს მაინც მკვლელი სტატისტიკა (26.0 ქულა, 13.3 მოხსნა) აქვს.

ლავი იგებს ამერიკის ნაკრებთან ერთად ოლიმპიადას და იქ ზედმეტი არ არის.

24 წლის კევინი ტიმის და დირკ ნოვიცკის მიქსტია. დღეს მიქსტები მოდაშია და ამას უნივერსალიზმს ეძახიან. ალბათ ასეა. ლავმა წინა რეგულარულის 55 ტესტში 105 სამიანი ჩასვა. ნორმალური პროცენტით (37.2). კევინი კარგი იყო.

ლავი "მინესოტაში" ბევრ პრობლემას ხსნის და ლავთან ერთად, გუნდი ჯერ ვერ გადის ფლეი-ოფში. "მინესოტას" პრეზიდენტმა, დევიდ კანმა, ბევრი რაღაც შეცვალა და მგლები ახალი ტერიტორიის ასათვისებლად დაიძვრებიან. ბევრი სისხლი და კანის ნაფლეთები წამოვა. ლავი და ანდრეი კირილენკო კლასია. ორი გენერაციის და განსხვავებული ქარიზმის ტიპი. კირილენკო ერთ სეზონში (2005/06) 15.3 ქულას, 8.0 მოხსნას, 4.3 პასს, 3.2 დაფარებას, 1.5 ჩაჭრას აგროვებდა. უნივერსალი. ლავიც უნივერსალია. ამ ბრუტალური უნივერსალიზმით "მინესოტა" ფლეი-ოფში უნდა შევიდეს.

2003/04. კევინ გარნეტთან ერთად, "მინესოტა" დასავლეთის კონფერენციის ფინალში გადის. და ისტორია დაიხურა. "მინესოტა" ბალასტის სავანე გახდა. კირილენკოსთან, როისთან და შვედთან ერთად, გუნდი შეიცვლება. და თუ ახალი მგლები სეზონს თავიდან ბოლომდე დაფარავენ, გუნდი აუცილებლად გავა ფლეი-ოფში. ლავი ამას იმსახურებს.

"მინესოტაც."

ფლეი ოფში იქნება "ლეიკერსი". იქ კობი, დუაიტ ჰოვარდი, კარგი გასოლი და სტივ ნეში ძმაკაცობენ.

ფლეი-ოფში იქნება "სან ანტონიო". მოხუცების ჯაზი, სადაც ტიმი, ტონი და მანუ კიდევ ერთხელ გავლენ ბისზე. კლასიკა.

ფლეი-ოფში გავა მომავლის ბანდა - "ოკლაჰომა". დიურანი ამ თაობის ლარი ბერდია, რას უესთბრუქი ნიჭში იხრჩობა და ჯეიმს ჰარდენი მაგარი კაცია.

ფლეი-ოფში გავლენ ნოვიცკის "დალასი", პოლის და ბლეიქ გრიფინის "კლიპერსი", მეორე გასოლის "მემფისი" და შეცვლილი "დენვერი". მერვე გუნდი შარშან "იუტა" იყო. წელს "მინესოტა" იქნება.

ლავი, AK 47, როი, რუბიო, ნიკოლა პეკოვიჩი, დერიკ უილიამსი და მეორე ეშელონი შეასრულებენ. და რასაც დაუკრავენ, ის მელოდია მშვიდი და კარგი მოსასმენი იქნება.

"ბორჯღალოსნების" განცხადება წამების ფაქტებთან დაკავშირებით

საქართველოში უკანასკნელი წლების განმავლობაში განვითარებული მოვლენების ფონზე მრავალჯერ გვსმენია, რომ აუცილებელია გაკეთდეს მორაგბეთა მიერ ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის მხარდამჭერი განცხადება; რომ ქართველ ხალხს, ჩვენს გულშემატკივარს გააჩნია მოლოდინი ქართული რაგბის ერთიანი პოზიციის დაფიქსირებისა.

განმარტების სახით მოგახსენებთ, რომ რაგბის ოჯახში შემოსვლა არ ხდება პოლიტიკური მსოფლმხედველობისა თუ მრწამსის შესაბამისად და რაგბის თემი ისეთივე მრავალფეროვანია, როგორც დანარჩენი საქართველო.

ამის გამო ქართული სარაგბო თემის მიერ ერთიანი პოლიტიკური განცხადების გაკეთება, უბრალოდ, შეუძლებლადაც კი მიგვაჩნია. რეალური ქმედება განცხადებებით არ განისაზღვრება. ქართული რაგბი ყოველგვარი განცხადების გარეშე ყოველთვის იდგა და იდგება იქ, სადაც საქართველოს დასჭირდება.

რაც შეეხება ბოლო დღეებში ტელევიზიით თუ ინტერნეტით გაშუქებული ვიდეომასალის შეფასებას, გვინდა განვაცხადოთ შემდეგი:

ქართველი მორაგბეები გმობენ ადამიანის უფლებათა დარღვევის თითოეულ ფაქტს, პიროვნების შეურაცხყოფის, წამების თუ დამცირების თითოეულ ქმედებას.

ჩვენ თანადგომას ვუცხადებთ ძალადობის ყველა მსხვერპლს და მათ ოჯახებს და ვისურვებდით, რომ ასეთი საშინელება ჩვენს ქვეყანაში არასდროს განმეორებულიყოს.

საქართველოს რაგბის კავშირის ვებ-გვერდი

საქართველოს რაგბის კავშირის განცხადება

საქართველოს რაგბის კავშირი UNICEF-თან ერთად 2011 წლის აპრილიდან ავჭალის არასრულწლოვანთა დაწესებულებაში ახორციელებს პროექტს, რომლის მიზანია არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია და საზოგადოებაში ინტეგრაცია რაგბის მეშვეობით.

ჩვენ ვცდილობდით, ჩვენი წვლილი შეგვეტანა ამ ბიჭების სწორ გზაზე დაყენებაში; მათი სარაგბო კლუბებში განაწილებით პასუხისმგელობას ვიღებდით მათ მომავალზე. ამის ფონზე ჩვენთვის კიდევ უფრო ამაზრზენი და შემაძრწუნებელია საპატიმროებში მომხდარი ადამიანის წამების, დამცირების, ღირსების შელახვის ფაქტების ნახვა - მით უმეტეს, რომ აღნიშნულს ადგილი ჰქონდა არასრულწლოვანთა მიმართაც.

საქართველოს რაგბის კავშირი გმობს მომხდარს და კატეგორიულად მოითხოვს ყველა დამნაშავის სათანადოდ დასჯას.

სუმოს ქართველმა პიონერმა კარიერა დაასრულა

კოკაის შიკონათი ცნობილმა 31 წლის ქართველმა სუმოისტმა ლევან ცაგურიამ კარიერა დაასრულა. პირველმა ევროპელმა სეკიტორმა იაპონიის სუმოს ასოციაციაში შესაბამისი განცხადება უკვე შეიტანა.

კოკაის პროფესიულ დოჰიოზე დებიუტი 2001 წლის მაისში შედგა, ანუ ორი წლის შემდეგ, როდესაც იუნიორთა შორის თავისუფალ ჭიდაობაში ევროპის ჩემპიონი გახდა. 2003 წლის მაისში ლევანმა რანგით მეორე ძურიოს დივიზიონში პირველი შეხვედრა ჩაატარა, 2004 წლის იანვარში კი პროფესიული სუმოს უმაღლეს დივიზიონ - მაკუუჩიში აღზევდა.

ექვსი წლის წინ "შავმა ზღვამ" იერარქიით მეოთხე საფეხურს უწია და კომუსუბით იწოდებოდა. კოკაის აქტივში 446 მოგებაა. შვიდნახევრი წლის განმავლობაში, მან მაკუუჩიში 45 სუპერტურნირი ჩაატარა და ორჯერ "ოქროს ვარსკვლავი" მიიღო იოკოძუნა ასაშორიუს დამარცხებისთვის, ორჯერაც კი მებრძოლი ხასიათის გამოვლენისთვის დაჯილდოვდა სპეციალური პრიზით - კანტო-შოთი.

კოკაის სახელოვანი კარიერის დასრულება მომრავლებულმა ტრავმებმა აიძულა. ლევან ცაგურიამ კისრის მალები დაიზიანა, გარდა ამისა, იდაყვები, მხრები და მუხლებიც აწუხებდა. ვინაიდან ქართველი სუმოისტი იაპონიის იმპერატორის ქვეშევრდომი არ გახლავთ, მას სამწვრთნელო ლიცენზიის აღების უფლება არ აქვს. ასე რომ, ქართველ სუმოისტს სამშობლოში დაბრუნება განუზრახავს.

მექსიკა 2026 მუნდიალისთვის ბრძოლას იწყებს

მექსიკას, 2026 წელს, მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის მასპინძლობის სურვილი გაუჩნდა და საქმესთან ახლოს რომ იყოს ფიფაში განაცხადის შესატანად ტექსტის მომზადებაზეზრუნვა დაიწყო. იმ შემთხვევაში თუ მექსიკელები მიზანს მიაღწევენ, ეს მათთვის მესამე მსოფლიო ჩემპიონატი იქნება. პირველად მუნდიალს კარი გაურეს 1970 წელს, მერედ კი 1986 წელს. საგულისხმოა ისიც, რომ 2026 წლის მუნდიალის მიღების შემთხვევაში მექსიკა გახდება პირველი ქვეყანა, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონატების მასპინძლობის სამი გამოცდილება ექნება.

...2014 წელს, მსოფლიო პირველობა ბრაზილიაში გაიამრთება, 2018 წელს - რუსეთში, ხოლო 2022 წელს - ყატარში.

ვლადიმერ ბოისა: მზად ვარ, ქართველ ახალგაზრდებს გამოცდილება გავუზიარო

ორშაბათს საქართველოში ვლადიმერ ბოისა ჩამოდის. ვეტერანი კალათბურთელი, რომელმაც ბოლო 14 წელი უცხოურ კლუბებში გაატარა, სამშობლოში იმისთვის ბრუნდება, რომ ქვეყნის მოქმედ ჩემპიონსა და ევროსარბიელზე მოასპარეზე ერთადერთ ქართულ გუნდს კონტრაქტი გაუფორმოს. ჯერჯერობით ბოისა არმიელად არ ითვლება, წინასწარი მოლაპარაკებით იგი თანახმაა, თავდაცვის სამინისტროს გუნდში ითამაშოს, თუმცა, სანამ კონტრაქტს ხელს არ მოაწერს, დეტალებზე საუბრისაგან თავს იკავებს. ბოისას დღეს ლიუბლიანაში შევეხმიანეთ...

- გავრცელდა ინფორმაცია, რომ შენი "არმიაში" გადასვლა გადაწყვეტილია...

- გადაწყვეტილი არაა, რადგან კონტრაქტი ჯერ არ გაფორმებულა. მე პროფესიონალი ვარ და ვიცი, რომ წინასწარ, ხელშეკრულების გაფორმებამდე გუნდის წევრად თავს ვერ ჩავთვლი. თბილისში მომავალ ორშაბათს ჩამოვალ და "არმიის" ხელმძღვანელებსაც პირადად დაველაპარაკები. წინასწარი მოლაპარაკება უკვე შედგა და ორივე მხარის სურვილია, რომ შეთანხმება შედგეს.

- ლაპარაკი მხოლოდ იმ პერიოდზეა, როცა "არმია" ევროჩლენჯის თასზე იასპარეზებს, თუ მთელ სეზონზე?

- სანამ საბოლოოდ ყველაფერი არ გადაწყდება, დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ.

- რატომ გადაწყვიტე, საქართველოში დაბრუნებულიყავი?

- ჩემი სურვილია, რომ კარიერა სლოვენიის "ოლიმპიაში", ანაც საქართველოში დავამთავრო. საქართველო ჩემი სამშობლოა, ქართველ კალათბურთლებზე გული შემტკივა და მართალი გითხრათ, ჩემი დაბრუნების მთავარი მიზეზიც ახალგაზრდების დახმარებაა. მინდა, ჩემი გამოცდილება გავუზიარო მოზარდ და თუნდაც ზრდასრულ კალათბურთელებს. ასევე მინდა, ხელი შევუწყო საქართველოს ჩემპიონატის დონის ამაღლებას და, რა თქმა უნდა, ქართული გუნდის სახელით ევროსარბიელზე ვიასპარეზო.

- კარიერას საქართველოში დაასრულებ?

- 31 წლის ვარ, კიდევ 2-3 სეზონი ვითამაშებ და თუკი საქართველოში მომიხდება ამ დროით დარჩნა, კარიერასაც სამშობლოში დავასრულებ. მირჩევნია, სლოვენიის რიგით გუნდში, ვთქვათ "ჰელიოსში" ყოფნას, საქართველოში ვითამაშო.

- რას იტყვი "არმიის" ევრომეტოქეებზე?

- "არმიას" შარშანდელზე ძლიერი მეტოქეები ჰყავს. ჩემი აზრით, ევროჩელენჯის წლევანდელ გათამაშებაში ეს ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ჯგუფია. იერუსალიმში გამარჯვება გმირობის ტოლფასია. ძლიერი შემადგენლობა ჰყავთ გერმანულ "ტელეკომსა" და ბელგიურ "ანტვერპენს". თუმცა არც არმიელებს ჰყავთ სუსტი გუნდი. დარწმუნებული ვარ, არც მეტოქეებს გაუხარდათ, "არმია" რომ მათ ჯგუფში მოხვდა. შარშან მიღებული გამოცდილება დიდად წაადგება კოტე ტუღუშის გუნდს. იმედი მაქვს, არმიელები მოახერხებენ ჯგუფიდან გასვლას.

- წელს საქართველოს ნაკრებში არ გითამაშია. "არმიაში" გადასვლას სანაკრებო კუთხითაც ხომ არ უყურებ?

- ნამდვილად არა. ჩემი მიზანი რაცაა, უკვე ვთქვი და თუ ნაკრებშიც მოვხვდები, ეს მხოლოდ გამიხარდება. იცით, რომ მომავალი ევროპის ჩემპიონატი სლოვენიაში, ჩემს მეორე სამშობლოში ტარდება და ამით ყველაფერია ნათქვამი. "არმია" ძალიან კარგი გუნდია, შესანიშნავი პირობები აქვს, ევროსარბიელზე ასპარეზობს და კარგ ფორმაში ყოფნა არ გამიჭირდება. იტალიურ "სიენაში" თითქმის ერთი თვე ვვარჯიშობდი. ახლა ინდივიდუალურად ვემზადები და უკვე გარკვეულ კონდიციაში ვიმყოფები. "არმიაში" კიდევ უფრო კარგ ფორმაში შევალ და იმედი მაქვს, ამ გუნდს ბევრ რამეში დავეხმარები.

- საქართველოში ოჯახით მოდიხარ?

- არა, შვილები სკოლაში სწავლობენ და არ მინდა, გარემო შევუცვალო. მარტო მოვდივარ, საქართველოში ჩემი მშობლები, და, ძმა და ახლობელი ადამიანები მელიან.

- გახსოვს წასვლამდე საქართველოში ჩატარებული ბოლო სეზონი?

- როგორ არა, 1997 წლის სეზონი იყო. რუსთავის "აზოტში" ვთამაშობდი, ეროვნული ჩემპიონატის ფინალში "ვითას" შევხვდით და სერია 2:3 წავაგეთ. ბოლო მატჩი დაძაბულ ბრძოლაში, 1 ქულის სხვაობით დავთმეთ და რა თქმა უნდა, ამან ძალიან დაგვწყვიტა გული. მაშინდელი ჩემი თანაგუნდელებიდან ახლა აღარავინ აღარ თამაშობს. მათი უმეტესობა მწვრთნელები არიან და თუკი მათაც რამეში დავეხმარები, ძალიან გამიხარდება.

უცნობი
გრიგოლ
რობაქიძე

დაგვიკავშირდით:
თბილისი,
ილია ჭავჭავაძის გამზ. N5
ტელ: (+995 32) 2 25 05 22
(+995 32) 2 91 22 83
(+995 32) 2 47 55 54
artanuji@artanuji.ge
www.artanuji.ge

www.artanuji.ge

გამომცემლობა ARTANUJI

პირველად

გრიგოლ რობაქიძის უცნობი
შემოქმედებითი მემკვიდრეობა
ქართულ ენაზე